სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 3 აგვისტო 2004 №177 (2198) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთის მისამართი: დინამო, თბილისი, ჯორჯია

ბადრი ჯოთიოლაძის ფოტო

ალექსანდრ ბურსაძის ფოტო

გოჩა ხოჯავას ის გოლი, ნახვად მართლაც რომ ღირდა

დღეს ალენის დღეობაა ვერ მივართვით კრუასანი

ათგუნდა ერროვნული ჩემპიონატის დებიუტი დიდად თვალისმომჭრელი ვერ გამოდგა – მძაფრი ბრძოლები არ ყოფილა, ოდენ ის სამი გუნდი გამოირჩა, რომელებიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ – „დინამო", „თბილისი" და „ვიტ ჯორჯია", თუმც იქნებ „ბათუმიც" ჯერჯეტი გუნდი გამოდგეს ამ სამეულისთვის.

გუშინ ზესტაფონში გოჩა ხოჯავამ რაღაც ზიდანური გააკეთა, თბილისში ჯი „დინამომ" სიონელები გაასავათა და ყველაფერი ეს ნაკრების იუბილარ მწვრთნელსაც აჩვენა.

მეორე ტურში უკეთესი თამაში იქნებაო – დაიარხეინეს თავი ეროვნულის ოპტიმისტებმა და ღმერთმა ქნას , ასეც მოხდეს.

ჯონ ვანტ სხიპტმა და მარკო ვან ბასტენმა ჰოლანდია ოთხი წლით ჩაიბარეს

მარკო ვან ბასტენი: გვინდა გოლ-ლანდია

ჩვენ შევუტევთ! — თქვა ჰოლანდიის ნაკრების ახალმა თავკაცმა. ჰოლანდია ყოველთვის და ყველას უტევს. აქ მთავარი ისაა, რომ ნარინჯისფერთა ქომაგები ამ ათასჯერ წარმოთქმულ სიტყვებს მარკო ვან ბასტენისგან ისმენენ.

მაშ ასე, ჰოლანდიას ლეგენდარული შემტევი შეატევინებს, კონტრაქტის მიხედვით ოთხი წლით. 39 წლის მარკო თავიდან უარზე იდგა, დიკ ადვოკაატის ადგილი დაეკავებინა, შვიდი წელი განზე ვიყავი და სულ ორი წელია, ჯონ ვანტ სხიპტს „აიაქსის" რეზერვების გაწვრთნაში ვეხმარებოდიო, მაგრამ ბოლოს ისე გამოვიდა, თავად დაისვა ვანტ სხიპტი ასისტენტად.

„ჩვენი მიზანია, ვითამაშოთ ლამაზი და შემტევი ფეხბურთი. პორტუგალიაში მხოლოდ ორი შემტევი გუნდი ვნახე — პორტუგალია და ჩეხეთი. ახლა თავდამსხმელებმა უნდა იბრწყინონ და არა მცველებმა".

საქართველოს ჩემპიონატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი 16 ლიგა 1 ტური

ზესტაფონი. 2 აგვისტო. 17 საათი. ცენტრალური. 7 000 (ტევადობა 10 000)

ზესტაფონი 1:3 თბილისი

0:1 მიკუჩაძე (35), 0:2 ხოჯავა (67), 0:3 სამხარაძე (82), 1:3 ქურციკიძე (85)

ზესტაფონი: ცინაძე, გვარუციძე, რაქვიაშვილი, ძაგნიძე, ბეჟენარი, შუკაკიძე, (ქურციკიძე 73), ნუდნი, ვ. ქუთათელაძე, ჯაფარიძე, შავგულიძე (ბ. ნოზაძე 46), პარამონოვი (ჩილვინაძე 40) *სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; ხინგავა, სულაკაძე, მელიქია	**თბილისი:** დევაძე, ლოლაძე (გ. კვარაცხელია 65), ქემოკლიძე, ორბელაძე, ელიავა, დ. ოდიკაძე, გ. გოგუა (მესხი 65), ხოჯავა (სამხარაძე 73), გ. ნუგ. ქელიძე, აფციაური, მიკუჩაძე *სათადარიგონი:* ბ.შეყრილაძე, გ. ვ. მიქაძე, ფიფია, გეწაძე
მწვრთნელი: ვლადიმირ ზემლიანიო	**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

გაფრთხილება: ქუთათელაძე (44), ელიავა (76)

მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ბადრი კეთილაძის ფოტოები

ზესტაფონის კომისია თბილისია

კობა ინასარიძე ზესტაფონიდან

ჩემპიონატის დაწყება ზესტაფონში დიდი ზარ-ზეიმით არ აღუნიშნავთ და მაინცდამაინც არც ის გაჰკვირვებიათ, რეგიონალლიგელი „ზესტაფონი“ ახალი სეზონს უმაღლესში რომ შეხვდა.

სტადიონს გარეგნულად რემონტისა და კეთილმოწყობისაც ბევრი არაფერი ეტყობა. რაც ორი-სამი წლის წინ იყო, ახლაც ისაა, თუმც უმადურობა იქნება, არ თქვა, რომ საუკუნისწინანდელ ხის სკამებზე ახალი, გაშლაშინებული ნაჭრები გადაუკრავთ.

მოედანი? ზესტაფონის მოედანი პროფლიგის საგანგებო კომისიას, ეტყობა, მთლად კარგად ვერ შემოუვლია თუ დაუთვალიერებია, მთლად ყანა არა, მაგრამ რაღაც ამის მაგვარი კი ითქმის სათამაშო გაზონზე.

ტაბლო? ნუ იტყვით, არ იყოს, სჯობს... თუმც აქვე ჩვენი ფოტორეპორტიორის ბადრი კეთილაძის გადაღებულ კადრებსაც ნახავთ, სადაც ჩანს, რომ ცენტრალურის მოპირდაპირე ტრიბუნქვეშეთი, სადაც გასახდელებია, ზესტაფონელებს სანიმუშოდ მოუწყვიათ. ახალი ტაბლო, ინდივიდუალური სკამები, ნაირნაირი სამედიცინო აპარატურა საბაჟოზეა გაჩერებული... რა თქმა უნდა, ტვირთი განსაბაჟებელია, ეს „სიამოვნება“ კი, როგორც გვითხრეს, 40 ათას ლარამდე ჯდება.

მოკლედ, „ზესტაფონმა“ რაც ერთ თვეში შეძლო, ისაა, რომ გასახდელები და სხვა დამხმარე სათავსოები მოაწესრიგა, დანარჩენს კი იმერლები მალე გვპირდებიან...

მატჩი, რომელიც საცქერად დიდი ვერაფერი გამოდგა.

ვლადიმირ ზემლიანოის, „ზესტაფონის“ მწვრთნელის ალალი სიტყვები გამოდგა დასამახსოვრებელი: „დაცვის ცენტრმა ძალიან ცუდად ითამაშა, ძალიან გაწბილებული ვარ. ეტყობა, შევცდი, როცა მოლდოვიდან ოლეგ ბეჟენარი ჩამოვიყვანე. მან დღეს ფეხბურთის გარდა ყველაფერი ითამაშა“.

შამქირიდან კარგ ხასიათზე დაბრუნებული „თბილისი“ პირველლიგელი „მცხეთას“ ფეხბურთელებით შექმნილ „ზესტაფონს“ რომ მოუგებდა, ეს ბევრისთვის საკითხავიც არ უნდა ყოფილიყო, თუმც ქომაგთა შორის ისეთებიც იყვნენ, „ზესტაფონის“ ჩემპიონობისა ახლავე რომ სჯეროდათ და შესაბამისად „თბილისთან“ მოგებაზეც ფიქრობდნენ. ნურას უკაცრავად — უთხრეს მათ თბილისელებმა და საქმეს შეუდგნენ.

პირველ ტაიმში ბევრი არც მომენტი შექმნილა და თამაშიც ისე რა იყო. თუმც გოლი იყო ძალიან ლამაზი: მარჯვნიდან ჭელიძის ჩაწოდებულზე მიკუჩაძემ მცველს ჭვინტით დაასწრო, ბურთი თავზე გადაუგდო და სადღაც საჯარიმოს ხაზიდან დაჰკრა — ცინაძე გუნდს ვერაფრით დაეხმარა — 0:1. აღსანიშნავია, რომ ეს გოლი „ზესტაფონის“ სახიფათო, მაგრამ ჩაშლილ კონტრშეტევას მოჰყვა.

67-ე წუთი კი გოჩა ხოჯავასი იყო: ცენტრის ხაზთან ბურთი რომ მიიღო, წავიდა, წავიდა და, ერთი ქართველი კომენტატორისა არ იყოს, მოატყუა ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... ლამის მთელი გუნდი, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კი მიკუჩაძეს „კედელი“ გაუთამაშა და... ხოჯავას გოლი ხომ მართლა ერთ სიამოვნებად ღირდა და... მავანმა იკითხა, ხოჯავას პასი ვინ მისცაო...

ამ დროისთვის „თბილისს“ თამაში უკვე დამთავრებული ჰქონდა, შესვენების შემდეგ გააქტიურებული ზესტაფონელების იერიშებს „თბილისმა“ სიმშვიდით, მეკარე დევაძემ კი ჩვეული ოსტატობით უპასუხა.

მესამე გოლის დროც დადგა: „თბილისმა“ მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირა — ჭელიძე-მიკუჩაძე-სამხარაძის გათამაშებული ბურთი ცინაძის კარში გაჩერდა. ორიოდ წუთში ზესტაფონელმა ქურციკიძემ კი შეძლო გოლის გატანა და დევაძის კარიდან ბურთიც სწრაფად გამოიტანა, მაგრამ...



გიორგი დევდარიანი: პირველ ყოვლისა, ზესტაფონელებს „ზესტაფონის“ უმაღლესში დაბრუნებას ვულოცავ და აქვე ვიტყვი, რომ კარგი გუნდის კეთება ერთ თვეში ვერ ხერხდება. მოითმინეთ და თქვენი გუნდი უკეთესად ითამაშებს. ვფიქრობ, დღეს დამსახურებულად გავიმარჯვეთ. გამოჩნდა, რომ დღეისთვის „თბილისი“ უკეთ მომზადებულია. ჩემი გუნდიდან ვერავის გამოვარჩევ, რაკი გუნდით კმაყოფილი ვარ, ეს ნიშნავს, რომ თავისი საკეთებელი ყველამ კარგად აკეთა.

ვლადიმირ ზემლიანოი: თავს ზემოთ ძალა არ არის. რეალურად ვაფასებდი გუნდების შესაძლებლობებს და ვფიქრობდი, რომ „თბილისთან“ გამარჯვების შანსი არ გვქონდა. მეტოქემ კლასით, ფეხბურთელთა მეტი ოსტატობით დაგვჯაბნა. „ზესტაფონს“ უმაღლესი ლიგის გუნდის შესაფერისად დაკომპლექტება სჭირდება. კაპიტანი შავგულიძე იმიტომ შევცვალე, რომ მოედნის ცენტრი პირწმინდად წაგებული გვქონდა. შავგულიძე, ეტყობა, საკუთარი ქომაგის თვალწინ ზედმეტად მონდომებული იყო. ის ბურთს კარგად ფლობს, მაგრამ დაცვაში თამაში არ შეუძლია. არა უშავს, ახალ ფეხბურთელებს ვაკვირდებით და პირველი წრის დასრულების შემდეგ აუცილებლად გავძლიერდებით.





ბადრი კეთილაძის ფოტოები



საფეხბურთო კლუბი „სპარტაკი“ სამძიმარს უცხადებს სერგო კოტრიკაძეს ვაჟის
თემურ კოტრიკაძის
გარდაცვალების გამო



ალენ ჟირესს 52 წელი ეროვნულზეც მიულოცეს

კატაბალახა და კატათაგვობანა

„დინამოს“ მეხუთე ბურთი კურიოზულად გავიდა — გოლია თუ ავტოგოლი?

ვ. შარაბიძე დოლიძეს ავლიდა ფოტოები

ლევან მელქაძემ „სიონი“ ორჯერ დაბომბა

საქართველოს ჩემპიონატი

ეროვნული ლიგა — ეროვნული ლიგა

უმაღლესი ლიგა 16 — 1 ტური

თბილისი. 2 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული. 1 500 (ვასაძე 70, 200)

დინამო 6:0 სიონი

1:0 რომერო (10), 2:0 ხმალაძე (41), 3:0 დვალი (45), 4:0 ალადაშვილი (67), 5:0, 6:0 მელქაძე (80,90)

დინამო: მამალაძე, კაშია, ჭიჭვეიშვილი (გიგაური 69), ლ. სალუქვაძე, ხმალაძე, გ. ნემსაძე, გრიგალაშვილი, რომერო (კანდელაკი 35), კ. ალადაშვილი, მელქაძე, დვალი (კაკალაძე 63)	სიონი: ასლანაძე, კობაური, ოქროპირიძე, გ. კილასონია, გ. დოლიძე, ალავიძე (თ. უგრეხელიძე 46), ჩოხელი (ლამბაშიძე 65), გოგოლაძე (გ. ჩალაძე), რუსია, ცქვიტარია, ზ. ლაბაძე
სათადარიგონი: თოთლაძე; ქუცურუა, დვალიშვილი	*სათადარიგონი:* ბობღიაშვილი
მწვრთნელი: გია გეგეჩუძე	მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ლ. სილაგავა (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

ის სიონი აღარ არის

დავით თავართქილაძე

ეროვნულმა სტადიონმა მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველ თამაშს უმასპინძლა — დროშის აწევაც იყო და საქართველოს ჰიმნიც, მაგრამ ზეიმი არ ყოფილა. იქნება, მატჩის ორგანიზატორთა ბოსტანშიც ვისროლოთ კენჭი, მაგრამ ვერანაირი შოუ და ფოიერვერკები „დინამო“ — „სიონს“ ვერ გაალამაზებდა.

შესაძლოა, თამაში ვინმესთვის ძილისპირულიც იყო, თუმც კატაბალახას წვეთებად მატჩი მაინც ვერ გამოდგებოდა — წინა სეზონში „დინამო“ და „სიონი“ ერთმანეთს ჩემპიონობისთვის ეპაექრებოდნენ, ახლა კი მათი შეხვედრა ჯანმრთელობის წრეზე თავშეყრილი ბიჭების ოფლისღვრას ჰგავდა.

უწინდელი „სიონისგან“ ნანგრევებიც არ დარჩა — გუნდში სულ სხვა ფეხბურთელები თამაშობენ და „სიონის“ დამრიგებელმა ვარლამ კილასონიამაც გუნდი აწი უნდა აააწყოს.

გია გეგუჩაძემ კი ბატესთან მოთამაშე „დინამოს“ ექვსი ფეხბურთელი დაასვენა და „სიონს“ მაინც იოლად გაუტანა ექვსი უპასუხო ბურთი.

მოიწყენდა იუბილარიც — გუშინ მატჩზე დამსწრე ალენ ჟირესს 52 წელი შეუსრულდა და დაბადების დღისთვის უკეთეს საჩუქარს ალბათ სხვაგან მიიღებდა.

შეხვედრის პირველი წუთებიდანვე ცალკარა წავიდა, მაგრამ პირველი სახიფათო მომენტი „სიონის“ იყო — ნაკუთხურალი ბურთი გიორგი დოლიძეს მიუვიდა და ხელსაყრელი პოზიციიდან მეტად არაზუსტად დაარტყა.

მე-10 წუთზე კი რომერომ ოცდახუთიოდე მეტრიდან მოუქნია ბურთს ცაცია და 1:0. „სიონმა“ ერთხელაც გაიბრძოლა — დოლიძის პასით არჩილ ალავიძე მარცხენა მახვილი კუთხიდან დაემუქრა მამალაძის კარს, თუმც მიზანმა უმტყუნა — აქ დამთავრდა ბოლნისელთა ურჩობა.

კახა ალადაშვილის ჩაწოდებულზე დავით ასლანაძე შეცდა და ლევან მელქაძემ თავურით ძელს გაარტყა, მერე ჯაბა დვალმაც მოინადირა ძელი, შემდეგ ისევ მელქაძემ სცადა გატანა და ასლანაძემ იყოჩაღა.

მაგრამ, როცა ლევან ხმალაძემ ოცდაათიოდე მეტრიდან „სიონის“ მეკარეს მოჭრილი დაურტყა, ასლანაძე არც კი განძრეულა — 2:0.

ტაიმის ბოლოს წუთზე ასლანაძე ერთხელაც შეცდა — შოთა კაშიას კუთხურზე ბურთს ვერ შესწვდა და ჯაბა დვალმა თავურით გაასამა „დინამოს“ უპირატესობა.

მეორე ტაიმის პირველი ოცი წუთი ძალიან დუნე იყო, მერე „დინამო“ კვლავ გამოცოცხლდა — ექსსიონელმა ალადაშვილმა ხმალაძის ფლანგური პასით ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

კურიოზული გოლი კი მე-80 წუთზე გავიდა — მელქაძემ ოციოდე მეტრიდან დაარტყა, ბურთი ასლანაძის ხელებისკენ წავიდა, იქიდან ასხლეტილი მეკარეს თავზე გადაევლო, ასლანაძემ ერთხელაც წაატანა ბურთს ხელები, მაგრამ ამაოდ...

მატჩის უკანასკნელ წუთზე მელქაძე ასლანაძესთან პირისპირ აღმოჩნდა, იოლად აჯობა მას და წერტილიც დასვა.

ვარლამ კილოსონია: სხვადასხვა საფეხურზე მყოფი გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს და სათქმელიც ბევრი არაფერი მაქვს — მატჩისშემდგომი კომენტარები ზედმეტია. ერთი კვირაა, რაც გუნდი ჩავიბარე.

გია გეგუჩაძე: სასიამოვნოა, რომ ჩემპიონატი მოგებით დავიწყეთ. ფეხბურთელები რომ დავასვენე, იმითაც იყო განპირობებული, რომ ნაკრებს მალე ამხანაგური მატჩი ელის. მათ მაგივრად ისეთ ახალგაზრდებს ვენდე, რომლებიც საკმაოდ კარგ ფორმაში არიან. ისიცაა, რომ ნებისმიერი ფეხბურთელი კონკურენტის სუნთქვას უნდა გრძნობდეს.



ვ. შარაბიძე დოლიძეს ავლიდა ფოტოები

XVI ეროვნული მოქმედი ჯირჯი

ტორპედო 1 ლოკომოტივი 0

ჩემპიონატის პირველი გოლი ტორპედოელმა ალექსანდრე კოშკაძემ მიითვალა

ვიტ ჯორჯია

პრეზიდენტი: გურამ რუხაძე
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გიორგი	ბედიაშვილი	მკ	07.02.80
კახაბერ	ბერელიძე	თ	12.02.82
ოლეგ	გველესიანი	ნ	16.09.80
ვლადიმერ	გოჩაშვილი	თ	05.07.76
პაველ	დათუნაიშვილი	ნ	25.08.83
დავით	დილმელაშვილი	ნ	18.01.81
ირაკლი	ებანოიძე	თ	05.06.83
დავით	იმედაშვილი	მ	15.12.84
ალექსანდრე	ინწკირველი	მ	24.08.81
ლევან	კვარაცხელია	მ	30.06.82
გიორგი	კვახაძე	მ	16.08.81
თენგიზ	კობიაშვილი	მ	03.12.75
დავით	ლომაია	მ	18.05.85
დავით	მამარდაშვილი	მკ	17.10.77
ოთარ	მარცვალაძე	თ	14.07.84
ერეკლე	მერებაშვილი	თ	27.05.82
ლაშა	ნოზაძე	თ	18.03.80
ზაზა	სახოკია	თ	12.02.84

სიონი

პრეზიდენტი: შოთა რეხვიაშვილი
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

დავით	არჩვაძე	მ	06.10.79
დავით	ასლანაძე	მ	16.11.76
მინდა	ბობღიაშვილი	მკ	02.08.83
აქსენტი	გილაური	მ	06.08.79
დავით	გოგოლაძე	თ	24.09.79
დავით	ზაზაშვილი	მ	30.01.82
დიმიტრი	ვერემჩუკი	ნ	07.12.76
გიორგი	კილასონია	ნ	09.09.68
მიხეილ	კობაური	მ	11.06.82
ნიკოლოზ	ლაბაძე	?	22.05.82
მამუკა	რუსია	თ	27.11.74
გიორგი	მანწკავა	ნ	25.10.81
გიორგი	ოქროპირიძე	?	??.??.??
ვლადიმერ	უგრეხელიძე	?	??.??.??
გიორგი	ფეიქრიშვილი	ნ	27.02.83
გიორგი	ლამბაშიძე	?	??.??.??
გიორგი	ჩალაძე	?	??.??.??
კახაბერ	ცქვიტაია	მ	27.09.84

დინამო

პრეზიდენტი: ბადრი პატარკაციშვილი
მწვრთნელი: გიორგი გეგუჩაძე

კახაბერ	ალადაშვილი	ნ	11.08.83
ლადო	ახალაია	თ	26.06.82
ვლადიმერ	ბურდული	ნ	26.02.80
დავით	გიგაური	მ	15.01.86
ბორის	გონჩაროვი	თ	08.07.79
შოთა	გრიგალაშვილი	ნ	??.??.86
ჯაბა	დვალი	თ	08.03.85
ირაკლი	თოთლაძე	მ	16.03.84
ირაკლი	ზოიძე	მკ	21.03.69
მიხეილ	კაკალაძე	თ	06.06.82
ილია	კანდელაკი	მ	26.12.81
ჯაბა	კანკავა	ნ	17.03.76
შოთა	კაშია	მ	22.10.84
დავით	კვირკველია	თ	27.06.80
ზურაბ	მამალაძე	მკ	10.02.82
კახა	მახარაძე	ნ	20.10.87
ლევან	მელქაძე	თ	12.12.79
გიორგი	ნემსაძე	ნ	10.05.72
სეზარ	რომერო (ბრა)	ნ	12.03.80
ლაშა	სალუქვაძე	მ	25.12.81
ლევან	სილაგაძე	მ	04.07.76
გიორგი	შაშიაშვილი	მ	01.09.79
ირაკლი	ჩირიკაშვილი	ნ	10.01.87
დავით	ჭიჭველიშვილი	მ	23.01.75
ლევან	ხმალაძე	ნ	06.04.85

თბილისი

პრეზიდენტი:
მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი

თორნიკე	აფციაური	ნ	28.11.79
რევაზ	გეწაძე	ნ	11.01.85
გოგიტა	გოგუა	ნ	04.10.83
აკაკი	დევაძე	მკ	28.11.71
ზაალ	ელიავა	მ	02.01.85
ანზორ	კალაძე	მ	09.08.85
გივი	კვარაცხელია	ნ	11.05.79
გიორგი	ლოლაძე	მ	19.10.80
მიხეილ	მესხი	თ	07.04.78
აკაკი	მიკუჩაძე	ნ	30.11.80
გიორგი	მიქაძე	თ	21.08.80
ბესო	მიქიაშვილი	მ	08.04.85
გიორგი	მოდებაძე	თ	27.03.83
დავით	ოდიკაძე	ნ	14.04.81
სერგო	ორბელაძე	მ	01.05.82
ბექა	ჟღენტი	ნ	24.06.85
ირაკლი	სამხარაძე	ნ	12.03.83
გოგი	ფიფია	თ	04.02.85
რევაზ	ქემოკლიძე	მ	18.03.79
ბექა	შეყრილაძე	მ	30.08.70
გიორგი	ჭელიძე	ნ	29.11.84
შოთა	ჯიქია	ნ	30.12.84
გოჩა	ხოჯავა	ნ	16.03.85

ლოკომოტივი

პრეზიდენტი: ლექსო თოფურია
მწვრთნელი: ზაურ სვანაძე

ზურაბ	ბათიაშვილი	მკ	06.02.80
დავით	ბაქრაძე	მ	06.06.79
ვალერი	გაგუა	ნ	26.02.80
დავით	გვარამაძე	მკ	08.11.75
ირაკლი	კიკალიშვილი	ნ	??.??.84
ზაზა	ლაცაბიძე	მ	05.10.75
მიხეილ	მახვილაძე	მ	22.07.78
გიორგი	ონიანი	მ	07.09.83
როინ	ონიანი	მ	14.06.75
იოსებ	დევიძე	მ	05.07.80
ირაკლი	ჟღენტი	?	03.04.85
ლევან	სანიკიძე	?	09.06.82
რამაზ	სვანაძე	ნ	02.03.81
ირაკლი	სირბილაძე	თ	22.09.82
თენგიზ	სიჭინავა	ნ	15.05.72
მიხეილ	სოსელია	ნ	25.03.81
ლაშა	ქებაძე	მ	27.08.83
ლაშა	ჩხაიძე	ნ	09.09.79

დილა

პრეზიდენტი:
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

გიორგი	ბალაშვილი	მ	07.08.73
თამაზ	ილურიძე	მკ	04.11.75
სოსო	კურტანიძე	?	??.??.??
ალეკო	ლაბაძე	ნ	02.02.84
გიორგი	ლომიძე	ნ	18.01.77
ალექსანდრე	მაისურაძე	?	??.??.??
გიორგი	მასურაშვილი	?	04.07.84
ოთარ	მგელაძე	მ	06.02.81
გურამ	ნადირაძე	?	??.??.??
არჩილ	ოლგესაშვილი	ნ	19.01.82
ლუკა	რაზმაძე	ნ	30.12.83
გურამ	სამადაშვილი	?	05.02.86
რამაზ	სოლოლაშვილი	მკ	23.03.77
საბა	სულთანიშვილი	თ	25.04.79
გივი	ქარქოზაშვილი	?	??.??.87
ქრისტეფორე	შატაკიშვილი	ნ	04.08.79
დავით	შუბითიძე	?	11.07.87
კახაბერ	წუწუნავა	თ	22.09.81
დავით	ჯობაძე	ნ.	07.09.81
კობა	ხანიშვილი	?	29.07.84
დავით	ხანიშვილი	?	27.04.84

ტორპედო

პრეზიდენტი: ზურაბ ხინიკაძე
მწვრთნელები: ოთარ გაბელია

ლაშა	ადუაშვილი	მ	18.05.81
შოთა	ბაბუნაშვილი	ნ	17.11.80
დავით	ბოლქვაძე	ნ	05.06.80
გიორგი	გაბელია	მკ	29.10.77
დავით	გამეზარდაშვილი	მ	07.05.82
გიორგი	დარსაძე	თ	??.??.86
სევასტი	თოდუა	მ	13.05.76
ალექსანდრე	კოშკაძე	ნ	04.12.81
ალექსანდრე	ლალაძე	ნ	??.??.85
გიორგი	მეგრელაძე	თ	21.07.78
გიორგი	მემარნიშვილი	ნ	28.03.82
შალვა	მუმლაძე	თ	18.08.78
ნიკოლოზ	ნადირაძე	ნ	??.??.87
გიორგი	ნერგაძე	ნ	20.08.82
გიორგი	რევაზიშვილი	ნ	31.03.77
ნუკრი	რევიშვილი	მკ	??.??.87
ზვიად	სტურუა	მკ	24.04.78
გაგა	ჩხეტიანი	თ	21.04.83
ლაშა	ჭელიძე	მ	13.03.85
ირაკლი	ჯანჯალია	?	??.??.??

კოლხეთი

პრეზიდენტი: ჯემალ ინაიშვილი
მწვრთნელი: დავით მახარაძე

ლევან	აკობია	მ	13.11.80
კახაბერ	გოროზია	მ	18.02.72
ლევან	ვართაგავა	?	10.08.80
მიხეილ	თაყაძე	ნ	21.07.79
გია	თოდუა	ნ	07.06.82
გიორგი	კილასონია	?	??.??.??
ვასიკო	კუნჭულია	?	24.03.85
ედიშერ	მარგალიტაძე	?	29.04.83
დავით	ნარსია	მ	03.08.82
ნოშრევან	ნარსია	?	07.10.83
გიორგი	ტყებუჩავა	?	??.??.??
ზურაბ	ქვაჩახია	მკ	25.09.73
მიხეილ	ქობულაძე	მ	07.09.74
ზვიად	ქუთათელაძე	თ	01.08.79
ილო	ქუტიძე	მ	21.01.75
შალვა	ლონლაძე	ნ	17.08.78
ტარიელ	ყურაშვილი	?	04.01.83
ჯონი	შალამბერიძე	ნ	25.09.75
გიზო	შენგელია	?	17.07.83
ბიძინა	ჩემია	მკ	24.02.80
გიორგი	ჭედია	?	02.01.82
დავით	ჭითანავა	?	??.??.??
მერაბ	ძოძუაშვილი	თ	04.09.80
ირაკლი	ხაჟომია	?	23.12.83
ლევან	ხურცილავა	?	23.09.83

ბათუმი

პრეზიდენტი: რევაზ ჩელებაძე
მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

ირაკლი	ბალაძე	მკ	02.09.83
დავით	გალოგრე	მ	09.01.82
ნიკა	გუშარაშვილი	მ	25.07.83
იოსებ	გრიშიკაშვილი	მკ	25.12.73
ვიტალი	დარჩიძე	ნ	23.09.81
ზურაბ	დუმბაძე	მ	24.05.84
ზურაბ	ექონია	მ	07.06.84
ბეგლარ	თედორაძე	მ	23.10.83
თეიმურაზ	მალანია	თ	19.10.83
ნუკრი	მანჩხავა	მ	05.01.82
ივანე	მახარაძე	მ	30.04.70
ირაკლი	მაკარიძე	?	13.04.84
გიორგი	რამიშვილი	?	04.02.85
დიმიტრი	ფირცხალაიშვილი	თ	19.04.81
ნიკოლოზ	ფურცხვანიძე	?	04.12.84
კახა	ქაცარავა	მ	15.10.81
ავთანდილ	ღლონტი	ნ	19.03.74
ირაკლი	შენგელია	ნ	13.01.81
თენგიზ	ჩიკვილაძე	მ	12.08.83
ირაკლი	ცანავა	?	28.10.85
გიორგი	ჭელიძე	თ	24.10.86
გოგა	ჯანელიძე	?	04.04.84
ლევან	ხომერიკი	თ	20.01.74
შალვა	ხუჯაძე	მ	10.05.75

ზესტაფონი

პრეზიდენტი: ილია კოკაია
მწვრთნელი: ვლადიმირი ზემლიანოი

ირაკლი	ბარბაქაძე	?	??.??.??
ოლეგ	ბეჟენარი (მოლ)	მ	17.09.71
ლაშა	გვარუციძე	?	??.??.??
ალექსი	კახნიაშვილი	?	18.05.82
ლევან	მელიქა	თ	28.04.82
რაჟდენ	მერკვილიშვილი	მკ	01.04.80
ბექა	ნოზაძე	ნ	90.02.82
სერგეი	ნუდნი (მოლ)	?	??.??.??
თამაზ	ოდიკაძე	მკ	16.05.78
დიმიტრი	პარამონოვი	ნ	02.08.80
თემურ	რაქვიაშვილი	მ	15.10.83
გოჩა	სულაკაძე	ნ	27.05.78
ვლადიმირ	ქუთათელაძე	თ	04.07.78
გიორგი	ქურციკიძე	თ	01.05.78
ლევან	შავგულიძე	თ	23.11.80
გიორგი	შუკაკიძე	ნ	01.09.79
დავით	ჩილვინიძე	თ	07.09.81
გიორგი	ცინაძე	მკ	19.08.82
ვლადიმირ	ძაგნიძე	მ	02.10.82
თეიმურაზ	ჯაფარიძე	მ	23.02.81
ანდრია	ხინგავა	მ	01.06.84

საპრეზიდენტო ამბები თბილისში

„თბილისის“ პრეზიდენტ ნიკა დოლიძეს პოსტიდან გადადგომა სურს, რის თაობაზეც გუშინ კლუბის ერთ-ერთ დამფუძნებელს მამუკა გუგეშაშვილს დავეკითხეთ...

— ამ დღეებში თბილისში არ ვიყავი და დოლიძესაც გადადგომის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს. ადრე კი რამდენჯერმე მითხრა, რომ ამ საქმიანობით დაიღალა. დოლიძეს მალე შევხვდები და ვეცდები, რომ კლუბიდან წასვლა გადავაფიქრებინო. ქართულ ფეხბურთში მუშაობა მართლაც ძნელი და დამღლელია, მაგრამ მე და „თბილისის“ კიდევ ერთი დამფუძნებელი თემურ უგულავა ფეხბურთში სწორედ დოლიძემ მოგვიყვანა — გვითხრა გუგეშაშვილმა.

კვირას ნიუკასლურ ტურნირზე „რეინჯერსის“ კაპიტანი შოთა არველაძე იყო

კალაძემ პენალტი ამერიკაში აღმოაჩინა

კახა კალაძემ 11 მეტრიდან გაიტანა

ლეგიონერულ ამბებს ამერიკიდან დავიწყებთ, სადაც კახა კალაძე და „მილანი“ ახალი სეზონისთვის ემზადებიან. მილანელებმა ნიუ იორკის გარეუბან ნიუ ჯერსიში „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცხეს. კალაძემ სრულად ითამაშა. ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა და პენალტებში „მილანმა“ იმარჯვა 9:8 — აქედან ერთი თერთმეტმეტრიანი კალაძემ გაიტანა. სერია A-მდე კი ჯერაც აღრეა — იტალიის ჩემპიონატი 12 სექტემბერს იწყება.

სამაგიეროდ, რამდენიმე დღეში დაიწყება ბუნდესლიგა და შოტლანდიური პრემიერლიგა. ფრაიბურგულ და რეინჯერსულ ამბებს გუშინდელ „სარბიელში“ წაიკითხავდით, ლევან კობიაშვილის „შალკეც“ მზადაა გერმანული ჩემპიონატისთვის და თან ინტერტოტოს თასზეც წარმატებით გამოდის, რათა უეფას თასის საგზური მოინაგროს — ნახევარფინალის პირველ მატჩში „შალკემ“ სტუმრად დასცა დანიური „ესბიერგი“ 3:1 და უკვე ორივე ფეხით ფინალშია, სადაც სამი წყვილი გუნდი მოგროვდება და გამარჯვებულები უეფას თასზე ითამაშებენ. კობიაშვილმა კი „ესბიერგთან“ 90 წუთი ითამაშა.

წარუმატებელი გამოდგა გოგა გახოკიძის დებიუტი უკრაინულ ჩემპიონატში — დონეცკურ დერბიში ქართველების „მეტალურგი“ უსუსური გამოდგა. მაგრამ გახოკიძე რომ გუნდს გააძლიერებს, ყველა ამის იმედადაა — პირველ მატჩში ქოქოლას არავის აყრიან. უკრაინაში გოლით გამოირჩა ვასილ გიგიაძე, თუმც „ტავრიამ“ ანგარიში ვერ შეინარჩუნა და ოდენ ფრეს გამორჩა. უკრაინულ ამბებს იმით დავასრულებთ, რომ ალეკო ამისულაშვილმა კიევის „დინამოს“ დუბლებში ითამაშა და გოლი გაიტანა.

რუსეთში სათასო მატჩები გაიმართა. „ალანიას“ სამივე ქართველმა ითამაშა, მაგრამ გუნდმა ვერც სათასო მატჩში იყოჩალა. მოულოდნელად წააგო მოსკოვის „ლოკომოტივმა“ პირველლიგელ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან“, მაგრამ სათასო მატჩები ხომ სპეციფიკურია. მალხაზ ასათიანმა სრულად ითამაშა, მიხეილ აშვეთია კი შეცვლაზე შევიდა და გააფრთხილეს.

მომავალ სამშაბათს ლეგიონერული ცხრილი მნიშვნელოვნად გაიზრდება და სათქმელიც მეტი გვექნება.

დავით თავართქილაძე

სახელი გვარი	გუნდი		სად მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
ავსტრია. მაძსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	შ	ადმირა 1:0	82	შეცვალეს	3	2	3
რუსეთი. თასის მეთექვსმეტედფინალი								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ჩერნომორეცი 0:1	90				
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	ს	ჩერნომორეცი 0:1	17	შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ.			
ვიტალი დარასელია	ალანია	ს	არსენალი 0:0	45	შეცვლაზე ითამაშა			
ლევან გვაზავა	ალანია	ს	არსენალი 0:0	90				
მიხეილ ყაველაშვილი	ალანია	ს	არსენალი 0:0	64	შეცვალეს			
რატი ალექსიძე	როსტოვი	ს	სოდოვიკი 2:1	53	შეცვალეს			
მამუკა ლომიძე	როსტოვი	ს	სოდოვიკი 2:1	0	სარეზერვო გუნდშია			
გიორგი ლომაია	სპარტაკი	შ	მ. ლიპეცკი 0:2	0	სათადარიგო იყო			
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო	შ	დინამო (მახაჩყალა) 2:0	0	ტრავმირებულია			
დავით ნაკანი	ტორპედო	ს	დინამო (ბრიანსკი) 2:0	0	სარეზერვო გუნდშია			
ედიკ საჯაია	არსენალი	შ	ალანია 0:0	90	გააფრთხილეს			
გიზო ჯელაძე	სოკოლი	შ	ცსკა 2:0	45	ვერ გაიტანა პენალტი, შეცვალეს			
რევაზ გოცირიძე	კამაზი	ს	სატურნი 0:3	0	სათადარიგო			
ვალერი აბრამიძე	ხიმკი	ს	რუბინი 1:0	0	სათადარიგო			
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	ს	შახტარი 0:3	55	შეცვალეს	4	0	4
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	შახტარი 0:3	86	გააფრთხილეს, შეცვალეს	4	1	4
გიორგი გახოკიძე	მ. დონეცკი	ს	შახტარი 0:3	35	შეცვლაზე ითამაშა	1	0	4
ალექსანდრე ამისულაშვილი	დინამო	ს	ილიჩევეცი 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	3
ზურაბ იონანიძე	ტავრია	შ	არსენალი 1:1	10	შეცვლაზე ითამაშა	3	1	11
გია ჭანტურია	ტავრია	შ	არსენალი 1:1	0	სათადარიგო	1	0	11
გიორგი იმედაძე	ტავრია	შ	არსენალი 1:1	0		0	0	11
კახა ჩხეტიანი	ტავრია	შ	არსენალი 1:1	45	შეცვლაზე ითამაშა	3	0	11
ზვიად ჩხეტიანი	ტავრია	შ	არსენალი 1:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	11
ვასილ გიგიაძე	ტავრია	შ	არსენალი 1:1	90	1 გოლი	3	2	11
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	შ	ბორისფენი 3:1	73	1 გოლი, გააფრთხ., შეცვალეს	3	1	7
ფინეთი. ვეიკაუსლიგა								
გიორგი ნიკურაძე	კტპ		ტური გამოტოვა			11	0	8
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორღალიძე	სკონტო		ტური გამოტოვა			7	3	3
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო		ტური გამოტოვა			13	3	3
გიორგი ყიფიანი	სკონტო		ტური გამოტოვა			6	0	3
ალექსანდრე რეხვიაშვილი	ვენტსპილსი		ტური გამოტოვა			1	0	2
თამაზ პერტია	დინაბურგი	შ	იურმალა 0:0	90		15	0	4
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	პლოცკი	შ	გურნიკი 0:0	90	გააფრთხილეს	1	0	6

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ვაშაკიძემ ითმინა და პრიზი!

უკრაინულ „არსენალში“ და „ვოლინში“ არდარჩენამ გაამართლა. ირაკლი ვაშაკიძე თავის შანსს მოთმინებით ელოდა და მისი დროც დადგა. ახლა იგი უფრო პრესტიჟულ და ძლიერ ბერძნულ ლიგაში ითამაშებს. საბერძნეთის ფეხბურთისადმი ინტერესი ბოლო ევროპის ჩემპიონატმა განსაკუთრებით გაამძაფრა. ჰოდა, ევროპის ჩემპიონი ქვეყნის მთავარ ლიგაში ქართველიც ითამაშებს.

სალონიკის „არისი“ ერთ-ერთი უძველესი ბერძნული კლუბია და მისი ქომაგები ექსპანსიურ ბერძენ ფანებშიც კი გამოირჩევიან. სწორედ ამ გუნდში ითამაშებს ირაკლი ვაშაკიძე, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ...

— კონტრაქტის გაფორმებამდე აუცილებელი ტესტების ჩაბარება დამჭირდა — სამედიცინო და საერთო ფიზიკური შემოწმება. ახლა უკვე ინდივიდუალური პროგრამით ვვარჯიშობ. აქ ასეა, თითოეულ ფეხბურთელს მისთვის დაწესებული ინდივიდუალური ვარჯიშები აქვს.

— აქამდე სადაც ისინჯებოდი, „არისი“ ყველას აღემატება...

— ძალიან მაღალი დონეა, საქართველო კი არა, უკრაინაც ვერ შეედრება. ფეხბურთელებს ყველანირად ამოწმებენ. მაგალითად, შემიმოწმეს ფეხი, თუ რა ძალა მაქვს და შემდეგ სპეციალური პროგრამით გაძლიერებაზე მამუშავებენ.

— ახლა სად ვარჯიშობთ?

— სალონიკთან ახლოს ერთ მთიან კურორტზე ვართ შეკრებაზე. მთელ საბერძნეთში ხომ საშინლად ცხელა, აქ კი დღის ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი ვარჯიში. დღეში სამჯერ ვვარჯიშობთ. დილით მხოლოდ ფიზიკური დატვირთვებია, შუადღისას ტრენაჟორები, საღამოს კი ტაქტიკური მეცადინეობა.

— გულშემატკივრებს შეხვდი?

— ჩემთან ერთად კონტრაქტი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელმა გააფორმა და პრეზენტაციაზე უამრავი გულშემატკივარი და ჟურნალისტი იყო. უყურადღებობას ნაღდად არ ვუჩივით. დღეს ჩვენს ვარჯიშზე აქ, ქალაქიდან მოშორებით, საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი ამოვიდა. ვარჯიშზეც კი ისეთი ხმაური ატეხეს, დაანგრიეს ყველაფერი. გავიკითხე და მითხრეს, „არისს“ 19-ათასიანი სტადიონი აქვს და ყოველთვის ივსებაო. ყველაზე ხმაურიანი ფანებიც სწორედ „არისს“ ჰყოლია. ჩვენს სტადიონზე ნებისმიერი გუნდისთვის თამაში ჯოჯოხეთიაო. არისი ბერძნულ მითოლოგიაში ომის ღმერთია და ჩვენს გულშემატკივრებს თავი მებრძოლებად წარმოუდგენიათ, ამიტომ ძალიან აგრესიულებიც არიან.

— საყოფაცხოვრებო პრობლემები მოგიგვარეს?

— ეგ პრობლემა არ იქნება. 14 აგვისტოს სალონიკში ვბრუნდებით, მე თბილისში ჩამოვალ, სამუშაო ვიზა უნდა ავიღო, გუნდი მხოლოდ სამი დღით მათავისუფლებს. უკან დაბრუნებისას კი ბინასაც დამახვედრებენ და მანქანასაც. საერთოდ, აქ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე ფიქრით ფეხბურთელებს თავს არ ატკიებენ. ყველამ იცის თავისი საკეთებელი და ხუთიანზე ასრულებს. გუშინ კი ახალი საკლუბო ფორმები დაგვირიგეს.

— რა ნომრით ითამაშებ?

— ჯერ ალბათ 40-ით, მერე იქნებ 44 ავიღო, ჩემი საყვარელი 4 ნომერი დაკავებული აღმოჩნდა.

— ახალწვეულები ბევრი ჰყავთ?

— ლეგიონერი ჩემ გარდა ორი არგენტინელი და ერთიც პოლონელია. საერთოდ, თითქმის ახალი გუნდია. ძველი ფეხბურთელების უმეტესობა მწვრთნელებიანად გაუშვეს, წინა სეზონში ძალიან ცუდად ვითამაშეთო და წლეულს სერიოზული მიზნები დაისახეს. ახალი მწვრთნელი და 12 ახალი ფეხბურთელი მოიყვანეს. უეფას თასზე მაინც უნდა მოვხვდეთო.

— ევრო 2004-ზე წარმატების შემდეგ ძალიან ხომ არ ყოყოჩობენ?

— მსგავსიც არაფერი. მხიარული და დროსტარების მოყვარული ხალხია. ევროპის ჩემპიონები გახდნენ და რაც და როგორც შეეძლოთ, ისე გაიხარეს. ისე კი, ბერძნებმა ყველაზე მეტად რითაც გამაკვირვეს, ეს მათი ორგანიზებულობაა, როგორც სამხრეთელი ხალხი, მეგონა, ამ მხრივ მოიკოჭლებდნენ, მაგრამ...

დავით ერაძე

ირაკლი ვაშაკიძეს საბერძნეთში დიდი ბრძოლები ელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფმა დევიდ გილმა განაცხადა, რომ კლუბი არ გადაიხდის 30 მილიონ გირვანქას უეინ რუნიში. სეზონის გახსნა ახლოვდება, ევრო 2004-ის 18 წლის ვარსკვლავი კი კვლავაც „ევერტონშია“

მანჩესტერის ბიუჯეტი რუნის ვერ გასწვდება



„მართალია, რომ „ევერტონი“ 30-დან 50 მილიონამდე ითხოვს რუნიში, მაგრამ ეს ნამეტანია ჩვენთვის — თქვა გილმა — ჩვენ ყოველთვის საზრიანად ვხარჯავთ ფულს“.

„ევერტონმა“ უკვე ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა რუნის.

გილმა კი განმარტა: „ვხვდები რატომაც ამბობენ, რომ რუნის მაინცდამაინც ჩვენ ვყიდულობთ. ის განსაკუთრებულია, ყმაწვილია და ინგლისელია. თუმცა, ჭორების განმარტებას არ ვაპირებთ. ჩვენ ორი სამიზნე გვქონდა ამ სეზონში და ორივეს გავარტყით, ალან სმიტი და გაბრიელ ჰაინცე შევიძინეთ. ვფიქრობთ, რომ ლაიამ მილერიც გააძლიერებს ჩვენს ნახევარდაცვას. ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ იანვარში ლუი საა ვიყიდეთ. ამიტომ, ბიუჯეტი დახურულია“.

ირაკლი გამყრელიძე

დღე პირველი, პორტუგალიის რვეული



4 სამუშაო

ყველა კარგ ხასიათზეა: მატჩის დღე კარგი გართობის დღეც არის დილიდან საღამომდე. წააგებს თუ მოიგებს შენი საყვარელი გუნდი, მაინც დროსტარების დღეა.

ევროპის ჩემპიონატი ისეთი ამბავია, რომ მას მთელი მსოფლიო უყურებს და ბოლოს და ბოლოს მოსეირე და მოყვარული კაცისთვის ფეხბურთი სიამოვნება და გართობაა. ფეხბურთი გართობა არ არის მხოლოდ გუნდებისთვის, გულშემატკივრებისთვის კი ის გართობაა. წაგებას გადაიტან, იმიტომ, რომ მატჩის დღე კარგი ემოციებით სავსე დღესასწაულია. წაგება დასანანია, მაგრამ ცხოვრება გრძელდება, სიამოვნება და ფეხბურთი გრძელდება და შენც თავს არ გადაიკლავ.

გულშემატკივრისთვის ეს სიამოვნება და თავგადასავალია, მაგრამ ჟურნალისტისთვის მატჩის დღე სამუშაო დღეა. ფეხბურთის ცქერა სამუშაოა, ამიტომ, სტადიონი ერთია, მისი პრესლოჟა და პრესცენტრი კი სხვა.

აბა, რა დამავიწყებს ირლანდიელ ჟურნალისტს, რომელიც ფინალურ მატჩზე ჩემს გვერდით იჯდა და მატჩის შემდეგ ერთხელაც არ აუხედია მაღლა, წამითაც არ შეუვლია თვალი იმ ჯადოსნური ფოიერვერკისთვის, რომელიც სტადიონის თავზე ტრიალებდა მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში. ერთხელაც, ეს ბიჭი იჯდა და გამალებით უკაკუნებდა თავისი კომპიუტერის კლავიშებს. ცხადია: „აირიშ ტაიმსი“ მისგან მატჩის რეპორტაჟს ელოდა და სულაც არ ნაღვლობდა იმაზე, რომ ამ ჯეელს ფოიერვერკისთვის ეყურებინა. და განა მარტო მას? ასეა, როცა ფეხბურთის ცქერა სამსახურია. საფეხბურთო ჟურნალისტობა მძიმე და ნერვიული ხელობაა. ეს არ არის ის, რომ დაჯდე და წყნარად უცქირო თამაშს. მე მწერალ ჟურნალისტებზე მოგახსენებთ, თორემ ტელევიზია კიდევ სხვა ამბავია. ტელეწამყვანები, ტელეჟურნალისტები საერთოდაც ძალიან იშვიათად შემოივლიან ხოლმე პრეს-ცენტრში, ამათ თავიანთი ბოქსები აქვთ და საერთოდაც, უფრო მაღალ კასტად მიაჩნიათ თავი, რადგან ეკრანზე ჩანან და რეპორტაჟები დიდ საფეხბურთო მოღვაწეებთან ერთად მიჰყავთ ხოლმე. მათ ბოქსებში რბილი სავარძლები და სიგრილეა, მათი ოპერატორები ყოველთვის პირველები შერბიან პრესკონფერენციებსა და შერეული ზონის დარბაზებში, სადაც შეიძლება ფეხბურთელებთან ლაპარაკი და მათთვის საჭირო, თუმცა უბრალო შეკითხვების დასმა. ისინი ყოველთვის უფრო ახლონი არიან ვიპ-ზონებთან, ყოველთვის მეტი საშვი აქვთ, ყოველთვის უფრო ღრმად შედიან სტადიონის მუცელში, ვიდრე მწერალი ჟურნალისტები.

მწერალ ჟურნალისტთა ალაგი სტადიონზე ორია, როგორც წესი, პრესლოჟის ქვედა რიგები და მოზუზუნე, ნაირგვარი საჭმლის სუნით გაჯერებული პრესცენტრი, მოყაყანე და არეული, სკამებსა და მსგავს მნიშვნელოვან ნივთებზე სანადირო ადგილი, სადაც მატჩის დღეს ყოველთვის რიგია ცხელ სადილზე, ყავასა და ინტერნეტზე. სადაც ტელევიზორებიც დგას და სადაც ძნელად უყურებ იმ თამაშს, რომელიც სტადიონზე მიმდინარე თამაში წინ ან იმავე დროს სხვა ქალაქში მიმდინარეობს, თუ ასეთი თამაშის ყურება გინდა, ტელევიზორთან ძალიან ახლოს უნდა დაჯდე. სხვანაირად, გამვლელ-გამომვლელი არ დაგაცლის, ტელევიზორს მოეფარება. თუმცა, „ეშტადიო და ლუზის“ პრესცენტრში, რომელიც მინი ფეხბურთის პატარა დარბაზში გაუშლიათ, არის დიდი და მოხერხებული ეკრანები, მაგრამ ეს გამონაკლისია. ხელის კომპიუტერების ტყე, მობილურები, დიქტოფონები, მძიმე ჩანთები, ტომრები, გზადაგზა ჭამა... გვერდით მუშაობენ, შენ კი შენს კატლეტებს დასტრიალებ, ცდილობ, რომ ადგილი იპოვნო და კერძიანი ლანგარი ჩადგა, თუნდაც ორ ძალიან დაკავებულ დამწერს შორის. სირბილი, შლიგინი, გადაძახილი, ჭორაობა.

მოულოდნელი ტაში, შეძახილები, საერთოდაც ხმაური, პრესცენტრის ნაირგვარ მაგიდებთან გაუთავებელი დგომა, რაღაცის გამოკვლევა, დამატებით სიაში მოხვედრის სურვილი, სკამზე შემდგარი სტადიონის ოფიცერი ამ დამატებითი ბილეთებით, ხმამაღლა რომ კითხულობს ათასი ეროვნების გვარებს:

— თქვენ გერგოთ დამატებითი ბილეთი!

— მე მარტო ბილეთი არ მინდა, მე მინდა მაგიდიანი ადგილი, მე უნდა ვწერო! ძალიან მჭირდება მაგიდიანი ბილეთი. აბა, მაჩვენეთ, სად არის ჩემი ადგილი ამ გეგმაზე.

— ნუ ღელავთ, ადგილები არ ივსება. იპოვნით მაგიდიან ადგილს ტრიბუნაზე.

— მე სამუშაო მაქვს!

— მეც ვმუშაობ, მე რა ვქნა, ბატონო?

ამ დროს კიდევ ვიღაც ახმახი შემოეტენება, ფეხბურთის ჟურნალისტი სულაც არ არის, ახალგაზრდული გადაცემის ჟურნალისტია, ოღონდაც აუცილებლად უნდა გადაიღოს პატრიკ კლუივერტი შერეულ ზონაში.

— როგორ თუ არ არის? შერეულ ზონაში დილიდანვე მქონდა შეტანილი ჩემი გვარი სიაში. ეს რა უბედურებაა? მე და ოპერატორი. ხედავთ ჩემს საბუთს? აი, აქ წერია, რომ...

და ასე.

ამ დროს კი მუშაობა გახურებულა. უკაკუნებენ და უკაკუნებენ. რეკავენ, ზეპირადაც ატყობინებენ. პრესცენტრი მხოლოდ სამუშაო დღის დაბოლოებაა. დილით სადღაც იყო ვარჯიში, იყო მწვრთნელის პრესკონფერენცია, ჟურნალისტი თავის სანდო წყაროსაც ესაუბრა, ერთ-ერთ ფეხბურთელსაც ელაპარაკა მობილურით, ყველაფერი გაიგო, ყველაფერი შეიტყო, თანამემამულე მოკალმეებსაც წაეჭორავა, დაჯდა და მასალა გამოაცხო. ახლა, თამაშის წინ, უმატებს და აკლებს ამ მასალას, მუშაობს, რეკავს, ზეპირს უმატებს. მარტო კი არ არის თავისი გაზეთიდან, სხვებიც მუშაობენ.

პრესცენტრში ათასგვარი მოკალმე იყრის თავს. სუპერმწერლებით დაწყებული, სააგენტოთა უბრალო ალმწერებით დასრულებული. ყველა მათგანს თავისი დავალება და თავისი ხერხი აქვს. ზოგი უბრალო ინფორმატორია, ზოგი დიადი ჟურნალისტი. მხცოვანნი, როგორც წესი, დღიურ ამბებზე არ მუშაობენ, თავიანთი სვეტებისთვის თუ დაწერენ რაღაცას და ამიტომ, მათი საქმე იმდენად ოპერატიული არ არის. მათ თავისუფლებაც მეტი აქვთ, სულაც არ არის სავალდებულო, რომ ისინი თავიანთი გუნდის თამაშზე გაემგზავრონ. რასაც საჭიროდ

დღე უკანასკნელი

ხედავენ, იმას უყურებენ. სააგენტოსთვის, ანდაც ინტერნეტ-გამოცემისთვის მწერალი ხალხი სხვაა, გაზეთისთვის მწერალი კაცი კი, სხვა. გაზეთიც ათასგვარია, კლასიც ათასგვარია. ურთიერთობები ათასგვარია. მაგრამ სირბილით ყველა ერთი მიმართულებით გარბის ხოლმე. მხცოვან ჟურნალისტებთან საუბარი ძალიან საინტერესოა. ისინი ისედაც მოცლილები ჩანან: იშვიათად წერენ პრესცენტრის გრძელ მაგიდებთან მიმსხდარნი, იშვიათად დგანან საჭმლის რიგებში და არც თავიანთი სამატჩო ადგილის რაობაზე ნაღვლობენ. მათ საჩქარო არაფერი აქვთ.

ოპერატიულობა, აი, სიჩქარის მიზეზი. ახალი ამბავი, აი, ნერვიულობის საბაბი. თავის ახალ ამბავს ყველა თავისთვის ინახავს. ერთმანეთში საქმეზე საუბარი, სიახლეებზე საუბარი ნაკლებად მოსულა. მოსულა საუბარი საკუთრივ ფეხბურთზე.

აი, ფინალი საათნახევრის დასრულებულია. გაჭედილ მედიაავტობუსში „ობზერვერის“ მესვეტის ემი ლოურენსის მკაცრი, მაგრამ მაინც ქალური ხმა ისმის:

— მე თუ მკითხავ, სწორედ მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. მან ჩაისვარა. თამაში ჩააგდო.

ფიგუზე ამბობს.

აი, ასეთი ლაპარაკები მოსულა თორემ ის, რომ ეს გავიგე და ის გავიგე, ძნელად. მაგრამ პრესცენტრი კიდევ არაფერი.

აი, ტრიბუნა: ნახევარ საათში თამაში იწყება. ამ ბელგიელს კი ის ადგილი არ აწყობს, რომელიც მიულია. მას მაგიდიანი ადგილი უნდა, რათა კომპიუტერი მუხლებზე არ ედოს.

არის ერთი გადარბენა და გადმორბენა, მაგიდიანი ადგილები ვიწროა. ტექნიკით დახუნძლული ადამიანები ჩაჭედილები სხედან: წესიერად ვერც კი გააბოლებენ, მხარი მხარს ეკვრის. ვისაც ოპერატიული სამუშაო არა აქვს, მას უმაგიდო რიგები ერგება, ადრიდანვე დაკვეთილი. მაგიდიანი კი წერისთვის აუცილებელია. მაგიდაზე და საინტერნეტო ხაზია. ხუთიდან ერთ მაგიდაზე ტელეფონია. ვიღაცეებს ეს ადგილებიც სჭირდებათ, თუმცა რად უნდათ ეს ტელეფონები მობილურების ეპოქაში, ძნელი სათქმელია. მობილური მუშაობის ისეთივე იარაღია, როგორიც ხელის კომპიუტერი. კომპიუტერი რაც უფრო მსუბუქი და თხელია, მით უკეთესია ასეთ დროს. კაკ-კუკ, კაკ-კუკ. ეს სამუშაოა. მხოლოდ ხანდახან იკითხავს ვინმე:

— ვერ დავინახე, ვინ ჩაკიდა?

პასუხს არავინ დაგამადლებს.

ამ დროს გარშემო დღესასწაულია. მოედანს რომ არც ჩახედო, ტრიბუნები გაგართობს, გააძღებს თვალს. შენ კი ზიხარ და უკაკუნებ. შენი სამუშაო არც მას შემდეგ მთავრდება, როცა თვით ფეხბურთელები ამთავრებენ სამუშაოს, როცა ტრიბუნები იცლება და როცა ზეიმი ქუჩაში გადადის.

ყველა ერთად, ჩქარი, უკანმოუხედავი ნაბიჯით, ხელში გაშლილი კომპიუტერით, გზადაგზა ტელეფონზე ლაპარაკით,

საკონფერენციო დარბაზისკენ მიექანება: მალე მწვრთნელები მოვლენ. იქ კი უკვე ტელევიზია მეფობს. ვის არ ნახავ ამ სარდაფში: თუნდაც „ალ ჯაზირას“ გადამღებ ჯგუფს, რომლის მეთაურიც ჩახუთულ საკონფერენციო დარბაზში ჩამომდგარ ოფლის სუნს უჩივის. აგე, პოლონელი, ერთადერთი მწერალი პოლონელი ჟურნალისტი ამ ჩემპიონატზე, ადამ მიხნიკი „გაზეტა ვიბორჩადან“, „მილანის“ ქომაგი, რომელსაც თმა შავწითლად შეულებია. აგერ ის მოხუცებული ბრაიან გლენვილი, აგერ, ანტონიო, ორიოდ საათში პირდაპირ ეთერში რომ გაუძღვება გადაცემას პორტუგალიის ტელევიზიით. ყველანი აქ არიან, უსმენენ და ეკითხებიან მწვრთნელებს, რომლებიც, ცოდვა გამხელილი სჯობს და თითქმის არადროს ამბობენ რაიმე საინტერესოს. ნამდვილი ინფორმაცია, ნამდვილი ამბავი სულ სხვაგან უნდა გაიგო, სულ სხვამ უნდა გაგანდოს.

— სულელური ოთახია, ეს ბოძი უაზროდაა გამოჩხერილი...

— საერთოდ... რა ორგანიზაციაა?

— კამერას ეფარებით... ჰეი, მეგობარო... კამერა...

მწვრთნელები წავიდნენ. გავიქეცით, გავიქეცით. ვისაც შერეული ზონის საშვი უშოვნია, კაციც ის არის. შერეულ ზონაში ფეხბურთელები დგანან, ნელნელა ინაცვლებენ ჯგუფიდან ჯგუფთან, დიქტოფონები და მიკროფონები. ბევრი ძველი ნაცნობია. ვარსკვლავები ტკბილად მოიკითხავენ ნაცნობ ჟურნალისტებს.

მაგარი კი ის არის, ვისაც ეს სახალხო ამბავი მხოლოდ მეორეხარისხოვან რამედ უჩანს, რადგან თავისი კავშირების, თავისი შესაძლებლობების წყალობით სულ სხვა გაქანების ამბები მოუგროვვებია, იმ დახურულ გუნდურ ბანაკში ისე შეუღწევია, ისე მიურეკმოურეკია, ისე ულაპარაკია, ისეთი რამეები ამოუცვნია, ჩვეულებრივ სიტყვათა უკან, რომ კმაყოფილია და მკითხველიც კმაყოფილი ეყოლება.

პრესცენტრები, პრესცენტრები, პრესცენტრები. ჩხრეკა შესვლისას და გამოსვლისას. რიგი, ყველგან რიგი. თეფშები, კოკა კოლა, ლეპტოპი. გარშემო კი ზეიმია.

არავითარი რომანტიკა, სამუშაო დღე, დიდი გამოცდა, ნერვები და საქმე. მხოლოდ ნაწერში. რაც გინდა, ყველაფერი ნაწერში. მთელი დღის ნაწვალები, ნარბენი და ნაოფლარი. ოღონდაც ისე, როგორც გისწავლია. შენ პროფი ხარ.

ოჰ, რა ზეიმია ფეხბურთი.

სამუშაო დღე რომ არ იყოს. თითქოს ორი ამბავია. ფეხბურთი: სტადიონი, ფერები და დღესასწაული და მეორე, სამუშაო დღე.

გაგრძელება იქნება

APRENDE ESPANOL

ბ ი ბ ი ო ჩ ა ნ ა ფ ი ქ რ ი ლ ი ა არსენალში და ესპანურში ვარჯიშობს

ესპანელ ბიჭებს ლონდონში სათვისტომო მოუწყვიათ — ყოფილი სევილიელი ხოსე ანტონიო რეიესი, ბარსელონელი სესკი და ალბასეტელი ალმუნია, რომლისგანაც გამოცდილ ინგლისელ სპეციალისტთა აზრით, უახლოეს ხანში იქაურ პრემიერლიგაში დიდ მიღწევებს უნდა ველოდოთ. „არსენალის“ საესპანეთო ამბავი ზემოთ ხსენებულ ჭაბუკთა იმპორტით არ ამოიწურება. საქმეში ჩახედულ გულშემატკივრებმა ალბათ იცით, რომ „არსენალის“ კაპიტან პატრიკ ვიეირას მადრიდის „რეალში“ გადასვლა სურს, თუმცა არსენ ვენგერს ვიეირას ხელიდან გაშვება არ უნდა. მადრიდულმა „ასი“ „არსენალში“ გადაბარგებულ ესპანელებს ამ ამბავზე დაეკითხა.

„ესპანეთში ვიეირაზე და „რეალზე“ ბევრს ლაპარაკობენ, ჩვენ კი ამ თემაზე საუბარი აკრძალული გვაქვს. მწვრთნელი სიტუაციის გართულებას ერიდება, ამიტომაც ფეხბურთელები ვიეირასთან მადრიდს არ ახსენებენ. წესით და რიგით, პატრიკის საქმე მალე უნდა გადაწყდეს, რადგანაც ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე მოთამაშეთა გაწევრიანების ვადა იწურება და მან არჩევანი მალე უნდა გააკეთოს“ — განაცხადა ვიგოს „სელტასა“ და „ალბასეტეს“ ოდინდელმა მეკარემ ალმუნიამ. თანაგუნდელის მოკრძალებული მოსაზრება სესკმა უფრო განავრცო: „პატრიკი დიდებული მოთამაშეა. წარმომიდგენია, როგორ გაუჭირდება „არსენალს“ მასთან განშორება. თუმცა რახან ვიეირასიც მესმის. შეიძლება, ერთ-ორ კვირაში დიდი სატრანსფერო გარიგება ვნახოთ“. ხოსე ანტონიო რეიესმა კი თავისი შეხედულებანი ამგვარად გამოხატა: „ვიეირა მსოფლიოში საუკეთესოა, საუკეთესოებს კი მადრიდის „რეალი“ ერთად აგროვებს. პატრიკსაც „სანტიაგო ბერნაბეუ“ „ჰაიბერიზე“ მეტად მოსწონს.“

„ასის“ კითხვაზე კი — ხომ არ იცით, ვიეირა დღეს რითი არის დაკავებულიო, სამივე სამხრეთელმა ეშმაკური ღიმილით უპასუხა: APRENDE ESPANOL, რაც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება—ესპანურს სწავლობს...

ლადო ხომერიკი



პატრიკ ვიეირა

ინგლისმა სიყვარულისგან დაისვენა

სამსახურებრივმა რომანმა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის შეფი მარკ პელიოსი შეიწირა. გუშინ იგი თანამდებობიდან გადადგა. მისი ადგილი კი დროებით დევიდ დევისმა დაიკავა. რია-რია ორი კვირის წინ დაიწყო, როცა სვენ გორან ერიკსონისა და პელიოსის მდივან ფერია ელამის სიყვარულის ამბავი „გასკდა“. შვედმა ეს ამბავი უარყო და თქვა, რა სისულელეაო, მაგრამ ელამმა ლამის დეტალებში აღწერა მისი და ერიკსონის საბნისქვეშა თუხთუხი.





ამ ფერიამ სვენ გორან ერიკსონს ჯერ ვერაფერი დააკლო, მარკ პელიოსს კი სამსახური დააკარგვინა

ერთი უკვე მოიშორეს



დევიდ დევისი

ასოციაციის ყოფილი შეფიც თურმე იგივე ქალს ჰყვარობდა, მარკ პელიოსი და სვენ გორან ერიკსონი საწოლში დაეჯახნენ. ბრძოლას შვედი აგებდა და მწვრთნელობიდან გათავისუფლებასაც უპირებდნენ, მაგრამ ორი ისეთი რამ გაირკვა, რომ ვითარება ერიკსონის სასარგებლოდ შემობრუნდა.

პირველი: ასოციაციას შვედთან კონტრაქტის გაწყვეტა 14 მილიონი გირვანქა დაუჯდებოდა. მეორე და მთავარი: გუშინწინ „სანის“ საუკვირაო დამატება „ნიუს ოფ ზე ვორლდმა“ საიდუმლო გაამხილა. აღმოჩნდა, რომ საფეხბურთო ასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსმა კოლინ გიბსონმა ჟურნალის რედაქტორს გარიგება შესთავაზა — საკვირაო დამატება პელიოსისა და ელამის სიყვარულის ამბავს თუ მიჩქმალავდა, სანაცვლოდ ერიკსონისა და ელამის ურთიერთობის დეტალებს მიიღებდა. ჟურნალმა გიბსონის ნათქვამი საქვეყნოდ გამოაჭენა, ასოციაციის შეფს კი ასეთი „დარტყმის“ შემდეგ თანამდებობაზე დარჩენის შანსი აღარ ჰქონდა და ამიტომაც გადადგა.

დევიდ დევისმა გუშინვე განაცხადა, რომ იგი ნაკრების მწვრთნელად სვენ გორან ერიკსონის დატოვების მომხრეა, თუმც შვედის ბედი ჯერ გადაწყვეტილი არაა. მის საქმეს ხუთშაბათს განიხილავენ და ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა.

„ერიკსონს ნაშრომს ვერ დავუწუნებ. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. მის ხელში ნაკრები კარგად თამაშობს და ფეხბურთელებიც დიდად აფასებენ. ამიტომაც ბევრს სურს, რომ შვედი კვლავაც ჩვენთან დარჩეს“ — განაცხადა დევისმა, რომელმაც უკვე დაურეკა სვენ გორან ერიკსონს და ფერია ელამთან ურთიერთობაზე ესაუბრა. მწვრთნელმა უპასუხა, რომ ამის შესახებ ხუთშაბათს დაგეგმილ შეხვედრაზე ილაპარაკებს, თუმც, ასოციაციის შეფის აზრით, ზეგ ამ საკითხზე დაწვრილმანება აღარ ღირს და ახლა ფეხბურთს უნდა მიხედონ.

ლეგენდარულმა ჯეკი ჩარლტონმაც სვენ გორან ერიკსონის ადვოკატობა იკისრა: „ვინც ინგლისის ნაკრების მწვრთნელობას მოინდომებს, უნდა ახსოვდეს, რომ დანიშვნის დღიდან ათასი ადამიანი უთვალთვალებს. ჟურნალისტები მწვრთნელზე ყველაფერს შეიტყობენ. მის წარსულს და შეცდომებს, პირადი ცხოვრების ეპიზოდებს ამოქექავენ. რამდენიმე ცნობილ კაცს ვესაუბრე, რომლებსაც ინგლისის ნაკრების თავკაცობა შეეძლოთ, მაგრამ ყველამ იუარა, რადგან იცი-ან, რაც ელით. სვენ გორან ერიკსონი თუ დამნაშავეა, პასუხი მოეთხოვება, მაგრამ ეს მხოლოდ საფეხბურთო თემას უნდა ეხებოდეს და არა პირად ცხოვრებას. არასაფეხბურთო მიზეზის გამო კაცის გათავისუფლება შეცდომა იქნება“.

ვაჟა ხუციშვილი



რა ჩაუწერეს ვან ბასტენს კონტრაქტში?

მარკო ვან ბასტენი ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელად ერთი კვირის წინ დანიშნეს, გუშინ კი მან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მომავალზე ისაუბრა. „ჩვენი მიზანი შემტევი გუნდის შექმნაა. ახლა მცველების კი არა, ფორვარდების გაბრწყინების დროა. ევრო 2004-ზე მხოლოდ ორი ასეთი გუნდი ვნახე: კარელ ბრუკნერის ჩეხეთი და ლუიშ ფელიპე სკოლარის პორტუგალია“.

ვან ბასტენის თანაშემწეები ჯონ ვანტ სხიპი, რიხარდ ვიჩგე და სტენლი მენცო იქნებიან. ჰოლანდიის საფეხბურთო ასოციაციის დირექტორმა ჰენკ კესლერმა განაცხადა, მწვრთნელების საქმიანობას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ შევაფასებო. გარდა ამისა, დირექტორმა თქვა: „კონტრაქტში მითითებულია, რომ ჰოლანდიამ აგრესიული, შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოს, ისეთი, როგორიც „ნარინჯისფერებს“ ეკადრებათ.“

„მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ჩემი დრო აუცილებლად დადგებოდა, მაგრამ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჰენკ კესლერის წინადადებას დავთანხმდით და დიდი პასუხისმგებლობა ვიკისრეთ“ — აღნიშნა ვან ბასტენმა.

ვაჟა ხუციშვილი

ამხანაგური მატჩები

ტოკიო ვერდი 0:4 რეალი

0:1 ზიდანი (9), 0:2 რონალდო (35), 0:3 ფიგუ (78), 0:4 მორიენტესი (81)

ტოკიო ვერდი: ტაკაგი, იონეიამა, ტოგავა, უბეიდა (ნანგისაკა 60), ფ. კობაიში (ტამანო 78), პაიაში, სიბა (ნეიიმე 70), ი. კობაიასი, ჰირანო (ლი 23), საკურაი (უგო 72), ჰირამოტო (მორიმოტო 65)

რეალი: სესარი, სალგადო, ვ. სამუელი (რაულ ბრავო 46), პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ი. ელგერა (სელადესი 78), ბექემი (მეხია 78), სოლარი (რაული 46), ზიდანი (გუტი 63), რონალდო (მორიენტესი 63)

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო

გაფრთხილება: პავონი, პაიაში

მსაჯი: იოშიჰირო კაშიპარა (იაპონია)

50 000 მაყურებელი

კაშიმა 0:5 ბარსელონა

0:1, 0:2 ჟიული (16, 26), 0:3 ლარსონი (30), 0:4 ლუის გარსია (76), 0:5 ლეო მესი (89)

კაშიმა: ნ. ოზავა (სუშიამა 60), ნარაჰაში, კანეკო (ივამასა 46), გო ოივა (იშიკავა 65), არაიბა, ჰონდა (უჩიდა 46), ფერნანდო, მასუდა (აოკი 46), ს. ნოზავა, ჰირაშე, ფუკაი (ნაკაშიმა 46)

ბარსელონა: რუშთუ, ბელეტი, პუიოლი (ოლეგერი 46), მარკესი, ფ. ნავარო (სილვინიო 62), ხერარდი, გაბრი (ხავი 46), ვან ბრონკჰორსტი (ინიესტა 46), ჟიული (ლუის გარსია 46), რონალდინიო, ლარსონი (ლეო მესი 76)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

მსაჯი: კაშუიკო მაცუმურა (იაპონია)

45 000 მაყურებელი

ნიიგატა 5:2 ვალენსია

0:1 მისტა (12), 1:1 ჰაკი (15), 2:1 ოსეასი (19), 2:2 ანგულო (26), 3:2 ოსეასი (32), 4:2 ჰაკი (42), 5:2 კურიჰარა (83)

ნიიგატა: ნორავა, ჰაკი, კიტა, მაცუო, ჰომა (კურიჰარა 67), ტარეკავა (აბე 80), სუძუკი (ჰირამა 80), ედმილსონი (კუვადარა 67), ოსეასი (უენო 71), ფაბინიო (რობერტო 78), იამაგუჩი

ვალენსია: კანისარესი (პალოპი 46), კურო ტორესი, პელეგრინო, კარბონი, მ. კანეირა, რუფეტე (ფიორე 46), ალბელდა, დე ლოს სანტოსი (პარი 65), ხისკო (ხორხე ლოპესი 65), ანგულო, მისტა (დი ვაიო 46)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: მისტა

მსაჯი: იოსი ოტა (იაპონია)

40 000 მაყურებელი

ბოლტონი 0:1 ინტერი

0:1 ადრიანო (65)

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ჯაიდი, ჟულიო სეზარი, კამპო (იერო 70), სპიდი, ოკოჩა, ე. გარდნერი, კ. დევისი (ბუვალი 86), ბრიჯისი (შეიკსი 70)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

ინტერი: ტოლდო (ა. ფონტანა 83), ხ. ძანეტი (კოკო 68), ი. კორდობა (სორონდო 68), მატერაცი, ფავალი (პასკუალე 60), ვან დერ მეიდე (დავიდსი 60), ვერონი (ფარინოსი 75), კამბიასო (ლამუში 76), დ. სტანკოვიჩი (ადრიანო 46), ვენტოლა, რეკობა (ზიკუ 75)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

მსაჯი: დერმოტ გალაჰერი (ინგლისი)

25 000 მაყურებელი

ფენერბაჰჩე 2:0 იუვენტუსი

1:0, 2:0 ვან ჰოიდონკი (58, 86ბ)

ფენერბაჰჩე: ვოლქანი, ონდერი (იოზგათლი 82), ლუჩანო, სერვეთი, ფაბიანო, სერჰათი (სერქანი 57), უმით ოზატი, მ. აურელიო, თუნქჩაი, ვან ჰოიდონკი, მურატი (ფათიჰ აკიელი 79)

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

იუვენტუსი: ბუფონი (კიმენტი 46), ძებინა, ლეგროტალიე, ბ. მონტერო, პესოტო (ბირინდელი 79), კამორანეზი (ბაიოკო 79), ტაკინარდი, ემერსონი, ძამბროტა (ოლივერა 46), დელ პიერო (მიკოლი 63), ტრეზეგე (ზალაიეტა 79)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: დელ პიერო, ლუჩანო, ლეგროტალიე, ძებინა, მონტერო

მსაჯი: სერგეი არზუმანი (თურქეთი)

35 000 მაყურებელი

ეტოო თუ არა, მაშინ ანელკა

ნიკოლა ანელკა შესაძლოა „ბარსელონაში" გადავიდეს. ფრანგული „ეკიპის" ცნობით, კატალონიური კლუბის წარმომადგენლები ფეხბურთელის აგენტს უკვე შეხვდნენ. არადა, ბარსელონელებს სამუელ ეტოოს გადაბირება სურდათ. „მალიორკასთან" და თავად კამერუნელთან პირობები შეათანხმეს, მაგრამ ეტოო მადრიდის „რეალს" ეკუთვნის და „სამეფო კლუბი" მის სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს ითხოვს.

მალიორკელის ტრანსფერი თუ არ შედგა, „ბარსელონას" სათადარიგო ვარიანტი ანელკაა. ფრანგის აგენტმა ვილი მაკკეიმ თქვა, რომ მის კლიენტს „ლიონიც" ეპატიჟება, მაგრამ საეჭვოა ფორვარდს სამშობლოში დაბრუნება სურდეს. „ბარსელონა" კარგ თანხას თუ შესთავაზებს, „მანჩესტერ სიტი" ალბათ უარს არ იტყვის მეგოლის გაყიდვაზე" — განაცხადა მაკკეიმ. ნიკოლა ანელკას სავარაუდო ფასი კი დაახლოებით 15 მილიონი ევროა.

ვაჟა ხუციშვილი



ფლორენცია: უიფალუშის ახდენილი ოცნება

ფლორენციის „ფიორენტინამ" „ჰამბურგიდან" ჩეხეთის ნაკრების მცველი ტომაშ უიფალუში 5 მილიონ 400 ათას ევროდ შეიძინა.

„გერმანიაში ბედს არ ვუჩიოდი, მაგრამ იტალიაში თამაში ბავშვობის ოცნება იყო და კლუბის ბოსებს ამიტომაც ვთხოვე გაშვება. ძალიან მსურდა სერია A-ში გადასვლა. მადლობელი ვარ ყველა ჰამბურგელისა, სადაც ბრწყინვალე წლები გავატარე. მჯერა, რომ გუნდს უჩემოდ დაცვაში არ გაუჭირდება" — განაცხადა ჩეხმა. ევრო 2004-ის შემდეგ ტომაშ უიფალუშის გადაბირება ტურინის „იუვენტუსსაც" სურდა. ეს ტრანსფერი არ შედგა, მაგრამ ფეხბურთელი მაინც აღმოჩნდა იტალიაში.

„ახლა სხვა დონეზე თამაში მომიწევს და დარწმუნებული ვარ, რომ „ფიორენტინაში" თავს არ შევირცხვენ. აქ ყველაფერი მოწესრიგებულია" — აღნიშნა ჩეხმა მცველმა, რომელმაც ბუნდესლიგაში ოთხი სეზონი გაატარა. შეგახსენებთ, რომ „ჰამბურგმა" მასში 2000 წელს 700 ათას ევრო გადაიხადა.

ვაჟა ხუციშვილი

ბუტრაგენიო ფიგუს შემოსწყრა

პორტუგალიელი ლუიშ ფიგუს მიერ პარასკევს გაკეთებულ განცხადებას, დეკემბერში მადრიდის „რეალთან" სავარაუდო განშორების შესახებ კასტილიური გრანდის სპორტული დირექტორი ემილიო ბუტრაგენიო მკაცრად გამოეხმაურა. შაბათის „სარბიელში" ფიგუს „როიტერთან" ნაბაასევი კი გაუწყეთ, მაგრამ მოკლედ მაინც შეგახსენებთ. ტოკიოში ტურნეზე მყოფმა ლუიშმა 30 ივლისს ჟურნალისტებს უთხრა, რომ მისი ადვოკატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მადრიდის „რეალს" მასთან კონტრაქტის გაწყვეტა სურს და შესაბამისად დეკემბრის ბოლოს პრეზიდენტი პერესი ფიგუსთან დამშვიდობებას გეგმავს. გარდა ამისა, პორტუგალიელმა „რეალის" უფროსობა დაადანაშაულა, ჩემს მიმართ სათანადო ყურადღებას არ იჩენდნენო.

„ამ ბოლო ხანს ჩემთან დამოკიდებულებაში ყველაფერი ძალიან შეიცვალა. კარგი იქნებოდა, ჩემს კონტრაქტსაც ისეთივე გულისხმიერებით მოჰკიდებოდნენ, როგორც გუნდის დანარჩენი წევრების საქმეებს" — თქვა ფიგუმ.



ემილიო ბუტრაგენიო კი საპირისპიროს ამტკიცებს. „ფიგუს „რეალში" კონტრაქტით 2004 წლამდე უწევს ბურთაობა და თუ მასთან ხელშეკრულების განახლებას გადავწყვეტთ, ამისთვის წინ საკმაოდ დიდი დრო არის დარჩენილი. ლუიში ცდება, როდესაც ჩვენს უგულისყურობაზე საუბრობს — „რეალი" ყველა თავის მოთამაშეს თანაბარ ყურადღებას უთმობს" — თქვა გალიზიანებულმა ბუტრაგენიომ, რომელმაც პორტუგალიელს გუნდის თავკაცების მისამართით ნათქვამიც არ მოუწონა. „ფიგუს არავითარი უფლება არ ჰქონდა, კლუბის უფროსობა მისდამი მტრულ დამოკიდებულებაში დაედანაშაულებინა. პირიქით, იგი გუნდში შესანიშნავად უნდა გრძნობდეს თავს. ფიგუს საფეხბურთო ოსტატობას ყოველთვის ვაფასებდით და ლუიშმაც „სანტიაგო ბერნაბეუზე" ბედნიერი 4 წელი გაატარა".

ლადო ხომერიკი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVII ტური

ცნტეჭი 0:1 მიუპა
ალიანსი 0:0 ტურკუ
ჰაამენლინა 2:2 ჯაზი
როვანიემი 2:0 ტამპერე

ჰაკა	16	10	4	2	30:9	34
ინტერი	16	9	2	5	33:22	29
ტამპერე	15	8	3	4	24:12	27
ტურკუ	16	8	3	5	25:20	27
ჰიკ	16	6	8	2	26:17	26
ალიანსი	15	7	4	4	18:15	25
ტპ 47	17	7	3	7	26:24	24
კტპ	16	6	5	5	23:20	23
მიუპა	16	6	5	5	16:19	23
ლაჰტი	17	4	9	4	19:22	21
ჯაზი	17	4	5	8	26:35	17
როვანიემი	17	4	3	10	17:33	15
იარო	17	3	2	12	17:35	11
ჰამენლინა	17	1	6	10	19:36	9

ნორვეგია

ტიპელიგა. XVI ტური

ლინი 2:2 ოდ გრენლანდი
ლილესტრიომი 2:2 ტრომსიო
ბოდიო გლიმტი 3:1 სოგნდალი
სტაბეკი 1:1 ჰამ კამი
ფრედრიკსტადი 2:1 მიოლდე
ვიკინგი 1:1 რუსენბორგი

რუსენბორგი	16	8	6	2	32:19	30
ტრომსიო	16	9	2	5	28:19	29
ლილესტრიომი	16	7	6	3	35:17	27
ჰამ კამი	16	7	5	4	24:22	26
ლინი	16	6	5	5	20:17	23
ვოლერენგა	15	6	5	4	16:15	23
ოდ გრენლანდი	16	5	7	4	29:26	22
ბრანი	15	7	1	7	27:27	22
სტაბეკი	16	5	4	7	16:23	19
მოლდე	16	4	6	6	20:23	18
ბოდიო გლიმტი	16	5	3	8	20:29	18
ვიკინგი	16	3	8	5	15:22	17
სოგნდალი	16	3	5	8	25:33	14
ფრედრიკსტადი	16	3	3	10	23:38	12

შვედეთი

ალსვენსკა. XIV ტური

კალმარი 1:1 იურგორდენი
იორებრო 1:0 იორგრიტე
აიკ 0:2 მალმიო

მალმიო	14	8	5	1	22:6	29
ჰალმსტადი	13	8	3	2	29:16	27
ჰამარბი	13	8	2	3	16:9	26
კალმარი	14	5	6	3	17:13	21
გიოტებორგი	13	5	4	4	13:10	19
სუნდსვალი	13	4	6	3	14:13	18
იურგორდენი	14	4	5	5	20:22	17
ელფსბორგი	13	4	4	5	9:15	16
იორებრო	14	4	4	6	17:29	16
ჰელსინგბორგი	13	3	5	5	23:18	14
იორგრიტე	14	2	7	5	13:18	13
აიკ	14	3	4	7	9:17	13
ლანდსკრონა	13	2	6	5	13:17	12
ტრელებორგი	13	2	3	8	8:20	9

დანია

სუპერლიგა. II ტური

მიდტიულანდი 2:1 ოდენსე
რანდერსი 0:1 ჰერფიოლგე
სილკებორგი 3:1 ორჰუსი
ოლბორგი 2:0 ნორდსიელანდი
ბრონდბიუ 2:0 ვიბორგი
კოპენჰაგენი 2:2 ესბიერგი

მიდტიულანდი	2	2	0	0	4:2	6
სილკებორგი	2	1	1	0	5:3	4
ჰერფიოლგე	2	1	1	0	1:0	4
ბრონდბიუ	2	1	0	1	3:2	3
ოლბორგი	2	1	0	1	3:2	3
ოდენსე	2	1	0	1	3:3	3
კოპენჰაგენი	2	0	2	0	4:4	2
ესბიერგი	1	0	1	0	2:2	1
ორჰუსი	2	0	1	1	3:5	1
ნორდსიელანდი	2	0	1	1	2:4	1
ვიბორგი	2	0	1	1	0:2	1
რანდერსი	1	0	0	1	0:1	0

ჯილარდინოს რომაელი შეუჩნდა





ალბერტო ჯილარდინოს მატეო ფერარი „რომაში“ ეპატიჟება

მატეო ფერარი „რომაში“ გასულ კვირას გადაბარგდა. ჯერ თავადაც კარგად არ გაუცნია იქაურობა და უკვე „პარმას“ ყმაწვილ ფორვარდ ალბერტო ჯილარდინოს დედაქალაქში ეპატიჟება, რომლის გაყიდვასაც კლუბი არ აპირებს.

„ალბერტო რომში თავს ბედნიერად იგრძნობს, რადგან აქ დიდებული გარემოა. დარწმუნებული ვარ, კლუბის ბოსები ყველაფერს იღონებენ მის გადმოსაბირებლად და ჯილარდინო მალე ჩემი თანაგუნდელი გახდება. „რომა“ ორმა ძლიერმა ფეხბურთელმა დატოვა და ახალი მოთამაშეები გვჭირდება. მათ სამუელი და ემერსონი უნდა შეცვალონ, რომ გუნდმა კვლავაც ჩემპიონობისთვის იბრძოლოს“ — თქვა ფერარიმ.

იტალიური მედიის ცნობით, „რომას“ მწვრთნელ ჩეზარე პრანდელის ალბერტო ჯილარდინოს გადაყვანის სურვილი და ფული ემერსონისა და სამეულის გაყიდვის შემდეგ გაუჩნდა.

ვაჟა ხუციშვილი

ემერსონმა საპნის ოპერა გახეთქა



ტურინის „იუვენტუსმა“ ემერსონი მედიას წარუდგინა და ფეხბურთელიც ენად გაიკრიფა: „საპნის ოპერა დასრულდა. ბედნიერი ვარ და ახლა ბეჯითად შრომას ვაპირებ. „რეალს“ „იუვენტუსი“ იმიტომ ვამჯობინე, რომ ფაბიო კაპელოს პირობა მივეცი და ჩემს სიტყვას ყოველთვის ვასრულებ. მას მაშინ შევპირდი ტურინში გაყოლას, როცა ჯერ კიდევ „რომაში“ ვიყავით. „იუვენტუსს“ დიდად ვაფასებ და გარიგება რომ არ შემდგარიყო, ალბათ ერთი წლით ფეხბურთიდან დავიკარგებოდი. „რომა“ ახლა უკვე წარსულია. იქ პრობლემები არასოდეს მქონია, მაგრამ იქ გატარებული ოთხი წლის შემდეგ გუნდის შეცვლა მსურდა. ერთ მომენტში ნაღდად დავითრგუნე, რადგან ტრანსფერი ჩაშლის პირას იყო და ფეხბურთზე კინაღამ გული ავიყარე. რომაელებს ჩემი გაყიდვა სურდათ, თუმც მყივდელი „იუვენტუსის“ გარდა სხვა ნებისმიერი კლუბი რომ ყოფილიყო, ყველაფერი გაცილებით იოლად მოგვარდებოდა“.

„იუვენტუსის“ გენერალურ დირექტორ ლუჩანო მოჯის თქმით, ტურინელები ამ ზაფხულს აღარავის იყიდიან, მაგრამ იტალიური მედიის ცნობით, „ბებერმა ქალბატონმა“ პარმას მცველ დანიელე ბონერას დაადგა თვალი და ეგებ სეზონის დაწყებამდე კიდევ ერთი ტრანსფერი გაჩარხოს.

ვაჟა ხუციშვილი

სინიშა მიხაილოვიჩი და ალე მარია

შავ-ლურჯი ვადა

„ინტერის“ მადა უსაზღვროა. „შავ-ლურჯებმა“ გასულ უქმეებზე სინიშა მიხაილოვიჩი და ზე მარია გადაიბირეს, ახლა კი „ლაციოს“ მარცხენა მცველ აპარესიდო სეზარს მიადგნენ. ბრაზილიელი მცველი ტურინის „იუვენტუსსაც“ სურდა, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ შესაძლოა, „ინტერი“ და „ლაციო“ კვირის ბოლომდე სეზარის ფასზე შეთანხმდნენ. სავარაუდოდ, მილანელები ფულსაც გადაიხდიან და ერთ ფეხბურთელსაც გაუშვებენ რომში. თუ ასე მოხდა, „ინტერს“ ხულიო კრუზი ან ნიკოლა ვენტოლა დატოვებს. „შავ-ლურჯებიდან“ მატიას ალმედიაც მიდის. არგენტინელ ნახევარმცველს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტია. „ბრეშაში“ გადასვლა მას ლუიჯი დი ბიაჯომ ურჩია, რომელიც ასევე „ინტერში“ თამაშობდა და შარშან ბრეშელებს შეუერთდა.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ დეკემბერში მადრიდის „რეალს“ რომ დატოვებს, გადაწყვეტილია. 32 წლის ვეტერანს უკვე რეალური მსურველებიც გამოუჩნდნენ: მისი გადაბირება რაფაელ ბენიტესის „ლივერპულსა“ და ჟაკ სანტინის „ტოტენჰემს“ სურთ. ფავორიტად მერსისაიდელები ითვლებიან, მათ ჩეხი ვლადიმირ შმიცერის მძიმე ტრავმის გამო, სწორედ ფიგუს ამპლუის მოთამაშე სჭირდებათ.

ინგლისურმა „ლივერპულმა“ ქალაქის მმართველთაგან ახალი სტადიონის აშენების ნებართვა მიიღო. მერსისაიდელებს ისტორიული „ენფილდ როუდი“, რომელზედაც 1892 წლიდან თამაშობენ, უკვე კარგა ხანია, არ აკმაყოფილებთ, საკმაოდ ცოტა — 45 362 გულშემატკივარს იტევსო. ახალი სტადიონი, რომელსაც ასევე „ენფილდი“ ერქმევა, 2006 წლისთვის უნდა აშენდეს. „ლივერპულის“ უფროსობას კი 80 მილიონი გირვანქის გაღება მოუწევს.

სერბი ფორვარდი მატეა კეჟმანი ინგლისური პრემიერლიგის დებიუტს გამოტოვებს, რადგან ამერიკულ ტურნეზე „ჩელსი“ — „რომას“ მატჩში ოლივიე დაკურს ეჩხუბა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა ამის გამო კეჟმანი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

რუსული „ლოკომოტივის“ ნახევარმცველმა მარატ იზმაილოვმა კლუბთან ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 21 წლის ფეხბურთელი ახლა ევრო 2004-ზე მიღებულ ტრავმას მკურნალობს. იგი მცირე დატვირთვით ინდივიდუალურადაც ვარჯიშობს, მაგრამ ექიმები დაზუსტებით ვერ ამბობენ, თუ როდის დაუბრუნდება იზმაილოვი მინდორს.

იაპონურ ტურნეზე მყოფ მადრიდის „რეალს“ კიდევ ერთი ლიდერი დაუშავდა — ზინედინ ზიდანი მეტოქე გუნდის ფეხბურთელს შეეჯახა და მარცხენა ფეხი დაიზიანა. რამდენად სერიოზულია ტრავმა, მადრიდელი მედიკოსები სპეციალური შემოწმების შემდეგ დაადგნენ.

სომხეთის ეროვნულ გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მცველი ბერნარ კაზონი. 42 წლის სპეციალისტს მისი თანამემამულე და ასევე ყოფილი ფეხბურთელი ბერნარ პარდო დაეხმარება. ორი ბერნარი თავიანთი მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა.

არგენტინული „ინდეპენდიენტეს“ აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი ხოსე ომარ პასტორიცა მოულოდნელად გარდაიცვალა. ფეხბურთის სპეციალისტს ორშაბათ დილით გულის შეტევა დაემართა და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ინაკი საესი თავის ძველ თანამდებობას დაუბრუნდა. საესი კვლავაც ესპანეთის ახალგაზრდულ გუნდს უთავკაცებს. მან ამ პოსტზე სერიოზულ წარმატებებს მიაღწია და ეროვნულ ნაკრებშიც სწორედ ამის გამო მიიწვიეს.

ფრანგული „მონაკო“ კვლავაც ცდილობს ხავიერ სავიოლას გადაბირებას. მათ სავიოლა ფერნანდო მორიენტესის შემცვლელად ესახებათ, რომელიც მადრიდის „რეალს“ დაუბრუნდა. „ჩვენ ფერნანდოს გაშვება არ გვინდოდა, მაგრამ უძლურნი ვიყავით. მას ხომ „რეალში“ არ ენდობოდნენ. არადა, იგი გაცილებით მეტს იმსახურებს. ეს მორიენტესის „მონაკოში“ თამაშმაც დაადასტურა. დიდი იმედი გვაქვს, რომ იგივე მოხდება სავიოლას შემთხვევაშიც“ — აღნიშნა „მონაკოს“ წარმომადგენელმა.

ბრაზილია

სერია A. XX ტური

ატლ. პარანენსე — გრემიო 0:0; ფლუმინენსე — კრუზეირო 0:0; კორინთიანსი — სან კაეტანო 2:0; კრისიუმა — პონტე პრეტა 3:1; ფლამენგო — პალმეირასი 0:1; ატლ. მინეირო — ფიგეირენსე 3:1; ფუვენტუდე — ვასკუ და გამა 1:1; სანტოსი — პაისანდუ 6:0; ვიტორია — კურიტიბა 2:2; გოიასი — პარანა 3:0; გუარანი — ბოტაფოგო 0:2; ინტერნასიონალი — სან პაულუ 1:1

სანტოსი	20	12	2	6	47:30	38
სან პაულუ	20	10	5	5	26:20	35
პალმეირასი	20	9	7	4	31:14	34
გოიასი	20	9	6	5	40:33	33
ფიგეირენსე	20	8	8	4	26:18	32
პონტე პრეტა	20	10	2	8	19:28	32
ატლ. პარანენსე	20	9	4	7	34:25	31
ფუვენტუდე	20	9	4	7	26:25	31
სან კაეტანო	20	8	5	7	22:17	29
კრისიუმა	20	8	5	7	35:33	29
ინტერნასიონალი	20	8	4	8	27:24	28
ფლუმინენსე	20	7	7	6	23:25	28
კრუზეირო	20	8	4	8	25:28	28
ვასკუ და გამა	20	7	6	7	32:26	27
კორინთიანსი	20	7	6	7	20:30	27
ვიტორია	20	7	5	8	35:33	26
კურიტიბა	20	5	9	6	22:23	24
ატლ. მინეირო	20	5	9	6	27:30	24
გრემიო	20	5	7	8	29:28	22
ბოტაფოგო	20	4	8	8	25:31	20
პარანა	20	5	5	10	17:34	20
გუარანი	20	5	4	11	16:27	19
პაისანდუ	20	4	6	10	24:38	18
ფლამენგო	20	3	8	9	17:25	17

უკრაინა

პრემიერლიგა. IV ტური

კრივბასი 1:0 ვორსკლა
მეტალისტი 3:1 ბორისფენი
ზაკარპატია 0:0 დნიპრო
ობოლონი 0:0 მ. ზაპოროჟიე
ვოლინი 1:0 ჩერნომორეცი
ტავრია 1:1 არსენალი
შახტარი 3:0 მ. დონეცკი
ილიჩევეცი 1:1 დინამო

შახტარი	4	4	0	0	9:1	12
ვოლინი	4	3	0	1	5:5	9
დინამო	4	2	1	1	6:4	7
მ. დონეცკი	4	2	1	1	7:6	7
დნიპრო	4	2	1	1	7:6	7
ვორსკლა	4	2	0	2	4:2	6
მეტალისტი	4	2	0	2	7:9	6
ჩერნომორეცი	4	1	1	2	3:3	4
კრივბასი	4	1	1	2	4:6	4
მ. ზაპოროჟიე	4	0	4	0	2:2	4
ტავრია	4	0	3	1	4:5	3
ილიჩევეცი	3	0	2	1	5:6	2
ზაკარპატია	3	0	2	1	1:2	2
ბორისფენი	3	0	2	1	2:4	2
ობოლონი	4	0	2	2	1:3	2
არსენალი	3	0	2	1	1:4	2

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

სარბიელი და კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. ჩემპიონატი. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
7 აგვისტო								
15.15	051	ლიდსი-დერბი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
18.00	052	ბარნლი-შეფილდი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
18.00	053	ქრიუ-კარდიფი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
18.00	054	იფსვიჩი-ჯილინგემი	1,55	3,4	6,0	1,06	1,23	2,17
18.00	055	ლესტერი-ვესტ ჰემი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
18.00	056	პლიმუთი-მილუოლი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
18.00	057	პრესტონი-უოტფორდი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
18.00	058	ქპრ-როტერჰემი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
18.00	059	რედინგი-ბრაიტონი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
18.00	060	უიგანი-ნოტინგემი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
20.35	061	ქოვენთრი-სანდერლენდი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44
8 აგვისტო								
15.15	062	სტოკი-ვულვერჰემპტონი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37

ინგლისი. I ლიგა. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
7 აგვისტო								
18.00	068	ბრისტოლი-ტორკი	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
18.00	069	ჩესტერფილდი-ბრენტფორდი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.00	070	დონკასტერი-ბლეკპული	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	071	ჰარტლპული-ბრედფორდი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
18.00	072	ჰალი-ბორნმუთი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
18.00	073	ლუტონი-ოლდემი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
18.00	074	დონსი-ბარნსლი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
18.00	075	პიტერბრო-ტრანმერი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
18.00	076	უენსდი-კოლჩესტერი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
18.00	077	სტოკპორტი-ჰადერსფილდი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	078	უოლსოლი-პორტ ვეილი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
18.00	079	რექსემი-სუინდონი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37

ინგლისი. II ლიგა. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
7 აგვისტო								
18.00	083	ბოსტონი-ოქსფორდი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
18.00	084	ბერი-იოვილი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
18.00	085	დარლინგტონი-გრიმსბი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.00	086	ლეიტონი-მაკლსფილდი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
18.00	087	მენსფილდი-როვერსი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	088	ნოტსი-ჩესტერი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
18.00	089	რაშდენი-კიდერმინსტერი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	090	სკანთორპი-როჩდეილი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
18.00	091	შრიუსბერი-ლინკოლნი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.00	092	საუთენდი-ჩელტენემი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	093	სუონსი-ნორთჰემპტონი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
18.00	094	უიკომბი-კემბრიჯი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67

შოტლანდია. პრემიერლიგა. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
7 აგვისტო								
15.30	098	აბერდინი-რეინჯერსი	7,0	3,6	1,45	2,37	1,2	1,03
18.00	099	დანდი-ჰართსი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
18.00	100	დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
18.00	101	ჰიბერნიანი-კილმარნოკი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
18.00	102	ლივინგსტონი-ინვერნესი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
8 აგვისტო								
17.00	103	სელტიკი-მოზერუელი	1,1	7,0	14,0	1	1,01	4,66

შოტლანდია. I დივიზიონი. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
7 აგვისტო								
18.00	106	ერდრი-სტ.ჯონსტონი	2,8	3,4	2,15	1,53	1,21	1,31
18.00	107	კლაიდი-პარტიკი	2,6	3,4	2,25	1,47	1,2	1,35
18.00	108	ჰამილტონი-რეითი	1,95	3,4	3,2	1,23	1,21	1,64
18.00	109	ქუინი-როსი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
18.00	110	სტ.მირენი-ფოლკირკი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4

შოტლანდია. II დივიზიონი. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
7 აგვისტო								
18.00	113	ბერიკი-მორტონი	2,6	3,5	2,2	1,49	1,19	1,35
18.00	114	დამბარტონი-ეარი	2,25	3,4	2,6	1,35	1,2	1,47
18.00	115	ფორფარი-ბრეჩინი	2,8	3,5	2,1	1,55	1,19	1,31
18.00	116	სტირლინგი-არბროთი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
18.00	117	სტრანრარი-ალოა	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52

შოტლანდია. III დივიზიონი. I ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
7 აგვისტო								
18.00	120	ისტ ფაიფი-მონტროუზი	1,7	3,6	3,8	1,15	1,17	1,84
18.00	121	გრეტნა-ალბიონი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
18.00	122	პიტერჰედი-ისტ სტირლინგი	1,15	5,6	11,0	1	1,04	3,71
18.00	123	ქუინზ პარკი-კოუდენბითი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
18.00	124	სტენჰაუზმური-ელგინი	1,5	4,0	5,0	1,09	1,15	2,22

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. I დივიზიონი. III ტური						
		3 აგვისტო						
20.00	208	ალტახი-ვიორგლი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
21.00	209	გრაზკორნი-აუსტრია(ლ)	3,1	3,2	2,1	1,57	1,25	1,26
21.00	210	კაფენბერგი-ლინცერი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
21.00	211	რიდი-ლეობენი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
21.00	212	უნტერსიბენბრიუნი-კერნტენი	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
		შვედეთი. ალსვენსკა. XIV ტური						
		3 აგვისტო						
22.00	259	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
		რუსეთი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები						
		4 აგვისტო						
16.00	338	ყუბანი-სპარტაკი	3,5	3,0	2,0	1,61	1,27	1,2
		ინგლისი. სუპერთასი						
		8 აგვისტო						
18.00	456	არსენალი-მანჩესტერი	2,5	3,1	2,5	1,38	1,25	1,38

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16 — ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13
	ჭავჭავაძის № 67 — ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50
ოზურგეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16
წნორი	სტალინის ქუჩა №1
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7

—— წყალბურთი ——

აუზში ნაკრების ლანდი გაკრთა

გაგი კოლოლაძის ფოტო

იოსებ მაისურაძე



ვლადიმერ გოიაშვილი

4 აგვისტოს თურქეთის უდიდეს ქალაქ სტამბოლში 17-წლამდელ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყება, სადაც 8 ევროპულ ნაკრებს შორის საქართველოს ჭაბუკებიც ითამაშებენ. სოსო მაისურაძის გუნდი ამ ტურნირს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს, რომელიც სექტემბერში გაიმართება მალტაზე. მასში კონტინენტის 16 საუკეთესო ჭაბუკთა ნაკრები ცდის ძალას.

ქართველი ჭაბუკები ისევ „ნაცნობი სცენარით", ძლივს შეკოწიწებული ფულით, ავტობუსის ჯაყჯაყით გაემგზავრნენ თურქეთში. მალტაზე წამოსასვლელ ნაკრებს მხოლოდ რუსეთში მოთამაშე სამი ლეგიონერი დააკლდა: მანძულაშვილი (კაპიტანი), ქუმძურიძე (მეკარე) და გოგელია 18 წლისანი არიან და, ბუნებრივია, სტამბოლის ტურნირზე ვერ ითამაშებენ.

8 ნაკრები ორ ჯგუფად არის გაყოფილი. ქართველთა კომპანიაში რუსი, რუმინელი და ჩეხი თანატოლები მოხვდნენ.

ჩვენებურების თავკაცის სოსო მაისურაძის თქმით, გუნდი წლევანდელი ევროპის ჩემპიონატისთვის გაცილებით უკეთ ემზადება, ვიდრე შარშან და შარშანწინ და ეს შედეგზეც უნდა აისახოს. ყოველ შემთხვევაში, 10 საუკეთესოს შორის მოხვედრა რეალურად შეგვიძლიაო. შეგახსენებთ, რომ წინა წლებში მაჩანჩალათა რიგებს ვერ გავცდით (ჯერ იყო მე-13, შემდეგ კი მე-15 ადგილი).

„წამყვანი ნაკრებები წელიწადში 60-70 ტესტ-მატჩს მართავენ, ხოლო ჩვენ რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატში ვითამაშეთ, სადაც ასპროცენტიანი შედეგები ვაჩვენეთ — ამბობს სოსო მაისურაძე — დაუმარცხებლად გავიარეთ შესარჩევი ციკლი ბულგარეთში და პოლონურ საერთაშორისო ტურნირზეც ყველას ვაჯობეთ. იმედია, სტამბოლშიც გავაგრძელებთ მოგებათა სერიას."

...კულუარებში ეროვნული ნაკრების შექმნაზეც ლაპარაკობენ. თუმც საქართველოს სპორტისა საწყლოსნო სახეობათა პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი იმედს ვერ იძლევა — არის რაღაც საუბრები ინვესტორებთან, მაგრამ წყალბურთს დიდი თანხები სჭირდება. ჯერჯერობით ამ საქმეს ყველა ერიდება და თუ წელიწადნახევარში ნაკრები ვერ ჩამოყალიბდა, ეს უნიჭიერესი თაობაც დაკარგულად ჩათვალეთო...

ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ წლევანდელ ზამთარში წყალბურთელები ალბათ ვაკის აუზში ივარჯიშებენ, რომელიც წესით ოქტომბრისთვის მზად უნდა იყოს. ეროვნული ნაკრების შექმნაც ამ აუზთან დაკავშირებული ერთ-ერთი სპონსორის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ვნახოთ...

ილია ნანობაშვილი

—— ჭიდაობა ——

პოლოსიანი შეკრებას გამოაკლდა

ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ათიოდ დღე რჩება. ათენში წამსვლელები ბოლო მოსამზადებელ შეკრებებს გადიან. ქართველი სპორტსმენებიც ამ საქმით არიან დაკავებულნი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თუ საზღვარგარეთ ვარჯიშობენ და შეკრებებს საბერძნეთში გაფრენის წინა დღეებამდეც გააგრძელებენ, თუმც დღეს უმეტესობა ერთად შეიკრიბება და რამდენიმე ფორმალურ ღონისძიებაშიც გაერევა

ოლიმპიური ფორმების მისაღებად და ფიცის დასადებად თბილისში ოფიციალური შეხვედრებისთვის ჩამოვიდნენ შავ ზღვაზე მოვარჯიშე მოჭიდავეებიც. „რამდენიმე დღეს აქ დავრჩებით და ვაკის დარბაზში განვაგრძობთ სამზადისს. 9-ში კი კვლავ დაბა შეკვეთილს დავუბრუნდებით და 21-მდე ვივარჯიშებთ" — გვითხრა თავისუფლების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ.

მწვრთნელს მოჭიდავეთა სპორტულ ფორმაზეც დავეკითხეთ და შევიტყვეთ, რომ დავით პოლოსიანს ბოლო ზღვისპირული შეკრება ტრავმის გამო გასცდენია. თურმანიძემ აქეთ დაგვაიმედა, დათო უკვე უკეთაა და გორში ინდივიდუალურად ვარჯიშობსო, თუმც ინფორმაციის დასაზუსტებლად თავად პოლოსიანს მივმართეთ.

— ტრავმა გორში, ვარჯიშისას შეკვეთილში გამგზავრების წინა დღეს მივიღე და შეკრებაზე წასვლაშიც ამან შემიშალა ხელი. რამდენიმე დღე უქმად გავატარე, მერე კი ნელ-ნელა მივუბრუნდი დატვირთვებს.

— ახლა როგორ გრძნობ თავს?

— სრულ მზადყოფნამდე ჯერ აშკარად მიკლია, მაგრამ სანერვიულო არაფერია. წინ კიდევ საკმაო დროა, ტრავმა მძიმე არ არის. უბრალოდ, ცოტა დასვენება მირჩიეს.

— მკურნალობას უკვე მორჩი?

— ორ-სამ დღეში მეტყვიან, შეიძლება თუ არა სრული დატვირთვით ვარჯიში, მანამდე კი მცირე შეზღუდვებით ვემზადები. ძირითადად ფანდებს ვამუშავებ.

— იძულებითმა შესვენებამ ფორმიდან ხომ არ ამოგაგდო?

— იმდენ ხანს არ დამისვენია, ფორმა რომ დამეკარგა. შეიძლება, ცოტა ჩამოვრჩი, მაგრამ ადვილად ავვიდგენ. უქმობის დღეები ევებ სასიკეთოდაც წამადგეს. მანამდე ცოტა არ იყოს, გადაღლილი ვიყავი.

— ნაკრებს როდის შეუერთდები?

— თბილისში ალბათ ერთი დღით ჩამოვალ ოლიმპიური შეხვედრებისთვის. 9 აგვისტოდან კი შეკვეთილში ნაკრებთან ერთად აუცილებლად მეც ვიქნები. ბოლო მოსამზადებელ ციკლს სრული დატვირთვით გავივლი.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ მოჭიდავეები ათენში სხვა სპორტსმენებზე გვიან, 23 აგვისტოს მიფრინავენ. მათი შეჯიბრი ოლიმპიადის ბოლო დღეებშია და თავისუფლებმაც და ბერძენ-რომაელებმაც გადაწყვიტეს, დარჩენილი დრო საქართველოში სავარჯიშოდ გამოიყენონ.



დავით პოლოსიანი მცირე ტრავმას შეეუხება

ოთარ მაღლაკელიძე

—— ათენი 2004 ——

ამ თვალს დავენახვებით!

იანა ანგელოპულოსი ანშლაგს გვპირდება

იანა ანგელოპულოსი
მშვენიერ ხასიათზეა

ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრები ბილეთების ცუდ რეალიზაციაზე საუბარი თვეების წინ დაიწყო და რამდენჯერმე ჩვენც დავწერეთ. სპეციალისტები ათენის ოლიმპიადაზე გულშემატკივართა სიმწირეს წინასწარმეტყველებდნენ და მიზეზთა მოძებნას ცდილობდნენ. გუშინ კი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავქალ იანა ანგელოპულოსი-დასკალაკის განცხადებამ ზემორე მოსაზრება თავდაყირა დააყენა.

„ავ ენებს პირადად ვპირდები გადაჭედილ სტადიონებს. ამის თქმის საფუძველს ბილეთების ბოლოდროინდელი რეალიზაცია მაძლევს. თუ ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში დღეში 4 ათასი ბილეთიც ვერ იყიდებოდა, ივლისში 13 ათასს გადააჭარბა, ახლა კი 20 ათასამდე ასულა" — ამბობს ქალბატონი იანა.

საქმეში ჩახედული ქალის სიტყვებს ბერძენი სტატისტიკოსებიც ადასტურებენ. დაზუსტებული ინფორმაციით აგვისტოს დასაწყისში სულ არსებული 5,3 მილიონი ბილეთიდან 2,2 მილიონია გაყიდული. მსურველთა რიცხვი კი დღითიდღე „კატასტროფულად" მოიმატებსო. ორგანიზატორებმა უკვე ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიალებზე დასასწრები დამატებითი ათას-ათასი ბილეთის დაბეჭდვის თაობაზეც გააკეთეს განცხადება. ანშლაგი აქედანვეა გარანტირებული რამდენიმე სახეობაზეც.

ოთარ მაღლაკელიძე

დაგვლოცე, მამაო!

ოლიმპიადის სტუმართათვის გუშინ ათენში სალოცავი გაიხსნა. რელიგიური ცენტრი ყველა რელიგიის მიმდევარს უმასპინძლებს. მართლმადიდებელი, კათოლიკე და პროტესტანტი ქრისტიანები, იუდეველები და მუსლიმები ხუთას კვადრატულ მეტრში ჩაეტევიან. იმ სპორტსმენებისთვის კი, რომლებიც ზედ შეჯიბრის წინ მოისურვებენ ლოცვას, 80-ზე მეტი მღვდელი, რაბინი, პასტორი და იმამი იზრუნებს.

ოლიმპიურ სოფელში კვების სპეციალური პროგრამებიც შეუდგენიათ და სხვადასხვა რჯულის სტუმართა წეს-ჩვეულებებიც გაუთვალისწინებიათ. მაგალითად მუსლიმებს ღორის ხორცს არ გააკარებენ.

„ჩოგბურთელებთან“ საუბარი შედარებით ახალი ამბით, თბილისში ამას წინათ ეგვიპტესთან დევისის თასზე გამართული სერიით დაიწყო და მერე შორეული ამბებიც გავიხსენეთ, როცა ჩვენს დედაქალაქში თუ სხვაგან ვერცხლის სასალათისთვის ალექსანდრე მეტრეველი, თეიმურაზ კაკულია და ვლადიმერ გაბრიჩიძე საბჭოთა ნაკრების სახელით იბრძოდნენ.

ზოგადად იმდროინდელ და დღევანდელ ჩოგბურთში დიდი სხვაობაა. დიდი სხვაობაა მაშინდელ და დღევანდელ დევისის თასის ტურნირებში ჩვენი ჩოგბურთელების მიზნებსა და ამოცანებშიც. მაშინ თუ საკმაოდ მაღალი მიზნებისკენ მიილტვოდნენ ჩვენი ჩოგბურთელები და მეტრეველს უიმბლდონის ფინალშიც უთამაშია და კაკულიასთან ერთად დევისის თასის ნახევარფინალშიც, ახლა დევისის თასის ევროაფრიკული ჯგუფის მეორე დივიზიონში ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.

მკითხველმა იცის, რომ ეს ბრძოლა მოვიგეთ, თუმცა, ჩვენი თანამოსაუბრე მწვრთნელების აზრით, რომ არა ირაკლი ლაბაძე, ძნელი სათქმელია, როგორ დამთავრდებოდა ეგვიპტელებთან ჩოგნის ქნევა.

ეგვიპტელ ჩოგბურთელებთან და საერთოდ იქაურ ჩოგბურთთან ჩვენს თანამოსაუბრეებს განსაკუთრებული დამოკიდებულება თუ ურთიერთობა აქვთ. მათ დაოსტატებაში კუპრეიშვილს, ბურჭულაძესა და სხვებსაც თავიანთი წვლილი მიუძღვით, რადგან იქაურ ჩოგბურთელებს ქართველი მწვრთნელები ავარჯიშებდნენ.

„ეგვიპტეში 1994 წელს ალექსანდრე მეტრეველის დახმარებით და რეკომენდაციით მოვხვდი — იხსენებს გია კუპრეიშვილი — მაშინ იქაური ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ისმაილ ელშაფეის თავის ძველ მეგობარ ალექსანდრე მეტრეველისთვის უთხოვია, იქნებ ვინმე სპეციალისტი გამოგვიგზავნოთო. ელშაფეიმ ჩოგბურთის ყადრი ნამდვილად იცოდა და იცის, რადგან დიდ ჩოგბურთს თამაშობდა, მათ შორის მეტრეველის წინააღმდეგ, სახელგანთქმულ როდ ლეივერს კი სამჯერ მოუგო კიდეც, მაგრამ ეგვიპტეში მის გარდა ჩოგბურთის სპეციალისტი აღარც მოიძებნებოდა. ასე იყო თუ ისე, ეგვიპტეში სამი თვით ჩასული მთელ შვიდ წელიწადს დავრჩი, ნაკრების უფროსი მწვრთნელიც ვიყავი, კლუბისაც და პირადიც. მე რომ ჩავედი, ეგვიპტეში ჩოგბურთის დონე ნულზე იყო. მერე ალექსანდრე ბურჭულაძეც ჩამოვიდა. ეგვიპტელებმა ყველა ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილეს. ჩვენმა აღსაზრდელმა ბავშვებმა აფრიკის ჩემპიონატიც მოიგეს და არაბული თამაშებიც. 18-წლამდელთა მსოფლიო რეიტინგში 50 საუკეთესოს შორის სამნი მოხვდნენ. ეს წარმატებები იმიტომ კი არ მოვიდა, რომ ჩვენ ვიყავით მაგრები, უბრალოდ, ეგვიპტის ჩოგბურთელთა მეთაურობამ ამ საქმის განვითარების პოლიტიკა შეცვალა. საჩოგბურთო კლუბები მათში გაერთიანების მსურველებს ვეღარ აუდიოდნენ. ამით კმაყოფილი ისმაილ ელშაფეი გვეუბნებოდა, თუ ვინმე მონდომებულ სპეციალისტს იცნობთ, ჩამოიყვანეთო. ასე თანდათანობით ეგვიპტეში გამოჩნდნენ ანატოლი ახალაძე, გივი სამხარაძე, ზურაბ ზედანია, გიორგი კიკალეიშვილი, კიდევ ერთი უზბეკი და სამიც ესპანელი. მერე ელშაფეი ჩოგბურთის ფედერაციას პრეზიდენტის პოსტზე ეგვიპტის უშიშროების მინისტრმა შეცვალა. იგი ელშაფეისთან ჩოგბურთის ცოდნით ახლოსაც ვერ მივიდოდა და საერთოდ ამ საქმისა ბევრიც არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ჭკვიანი და ალღოიანი კი აღმოჩნდა. ამ კაცმა ეგვიპტეში 16 ტურნირი დააწესა, ამერიკიდან დასაშლელ-ასაწყობი სარბიელი თავის ტრიბუნებიანად ორი-სამი დღით 2 მილიონ დოლარად ჩამოიტანა, ტურნირი მოაწყო და მასში ვიკარიო და კურნიკოვა მოიწვია. ეს ფული წყალში გადაყრილი სულაც არ იყო. ამან ეგვიპტეში ჩოგბურთისადმი ინტერესი უფრო გაზარდა და ისინიც სულ წინ მიიწევდნენ. გვიხარია, რომ ამაში ჩვენი დიდი წვლილიცაა. თბილისში ახლა დევისის თასზე რომ ჩამოვიდნენ ეგვიპტელები, ყველა მათგანი ჩვენი აღსაზრდელი იყო. მათთან მუშაობა რომ დავიწყეთ, მთლად ბავშვები იყვნენ. თუ ირაკლი ლაბაძეს არ ჩავთვლით, მათი დონე საქართველოს ჩოგბურთელებისას გაუთანაბრდა. ყოველ შემთხვევაში თბილისის ტურნირზე ასე ჩანდა...“


გია კუპრეიშვილი და ალექსანდრე ბურჭულაძე

ხელმარჯვედ ვცემდეთ ჩოგანსა

ლუდის კათხაში ჩატეული საჩოგბურთო საუბარი

ნაცნობ-მეგობრებთან ლუდს შევექცეოდი და მთისა თუ ბარის ამბებზე ვსაუბრობდით. ჩვენს შორის ორი ახალგაზრდა, საჩოგბურთო მწვრთნელები გია კუპრეიშვილი და ალექსანდრე ბურჭულაძეც იყვნენ. ბუნებრივია, სიტყვა ჩოგბურთზეც ჩამოვარდა. მაშინ არც მიფიქრია, რომ ამ საუბრის შესახებ საგაზეთო წერილი დამეწერა, მაგრამ მერე ქართულ ჩოგბურთზე მათი გულისტკივილით ნათქვამი ზოგიერთი პრობლემა რომ გავიხსენე, ვიფიქრე, ეს მხოლოდ მათი კი არა, ამ სფეროში მოსაქმე ხალხის საერთო ტკივილია და ამდენად საზოგადოებისთვისაც გასაცნობ-გასაზიარებელიც-მეთქი

ჩვენს გუნდში იყო ირაკლი უშანგიშვილიც, რომელმაც, მართალია, თავისი ბრძოლა მოიგო და პრაქტიკულად საბოლოო შედეგის ბედიც გადაწყვიტა, მაგრამ მისი წარმატებისა თავიდან ბევრს არ ეიმედებოდა. არადა, უშანგიშვილზე ერთ დროს დიდ იმედებს ამყარებდნენ.

მახსოვს 1995 წელი, ინგლისის ქალაქი მათი და იქ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების პროგრამით გამართული ჩოგბურთელთა ტურნირი, სადაც 13 წლის ირაკლი უშანგიშვილი ისე ყოჩაღად, შეუპოვრად და მონდომებით იბრძოდა, რომ მეოთხე ადგილი დაიკავა. მთავარი მაინც ის იყო, რომ ყველა სპეციალისტი, ჩვენიც და უცხოელიც, ამბობდა, ამ ბავშვისგან კარგი ჩოგბურთელი დადგება, მაგრამ...

„ეგ კი არა, ირაკლი ახლა 23 წლისაა და ჩვენ ის უფრო გვიკვირს, ჩოგბურთს ამდენხანს როგორ შემორჩა — ამბობს გია კუპრეიშვილი — საქართველოში უკვე მრავალი წელიწადია გრძელდება ისეთი ატმოსფერო, რომ ჩოგბურთელები ნაადრევად, 15-16 წლისანი ტოვებენ სარბიელს, 20 წლისანი კი ნამდვილ ვეტერანებად ითვლებიან. მახსოვს ვაკის პარკში მდებარე საჩოგბურთო კლუბ „მუხის ფოთოლში“ ჩვენს ქვეყანაში პირველი კომერციული ტურნირი ჩატარდა. მასში მეც ვმონაწილეობდი, 20 წლისა ვიყავი და ჩემზე ამბობდნენ, ახალგაზრდა ვეტერანიაო. ამიტომაც მიკვირს, ირაკლი უშანგიშვილი დღესაც რომ თამაშობს. უკვე წლებია, რაც მისი ნიჭი იკარგება. მხოლოდ ნიჭით და მონდომებით ფონს ვინ გასულა, თუ ეს ყოველივე სწორი კალაპოტით არ წარიმართა, კალაპოტი კი მოაქვს მწვრთნელსაც, რომელიც ირაკლი უშანგიშვილს, პრაქტიკულად, არა ჰყავს.

ან ნინო ლუარსაბიშვილი გავიხსენოთ — გვეუბნება ალექსანდრე ბურჭულაძე და თავადვე გვახსენებს 1993 წელს ლონდონში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ლუარსაბიშვილი იუნიორთა შორის მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელად რომ გამოაცხადა. მაშინ ნინომ შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი ჩამოიტოვა. ბიჭებში ნინოსთან ერთად №1 გახდა ჩილიელი მარსელო რიოსი. მერე რიოსი ვაჟებში, ჰინგისი კი ქალებშიც მსოფლიოს პირველი ჩოგნები გახდნენ, ლუარსაბიშვილი კი დავკარგეთ. დავკარგეთ იმიტომაც, რომ, ჩემი აზრით, მარტო იყო, მას შესაფერისი მწვრთნელი აღარ ჰყავდა...“

ალექსანდრე ბურჭულაძის აზრს ახლა ისევ გია კუპრეიშვილი ავითარებს და ამბობს, ამა თუ იმ მწვრთნელს ამა თუ იმ დონემდე შეუძლია მოამზადოს ჩოგბურთელი, მერე კი მისი დაოსტატების საქმე სხვას უნდა ანდოსო. იმასაც შეგვახსენებს, რომ დიდ ჩოგბურთელებს ტურნირებზე მხოლოდ მწვრთნელები კი არა, მთელი გუნდი დაჰყვება, რომელშიც ნაირგვარი მომსახურე პერსონალია გაერთიანებული და მშობლებიც იქვე არიანო, რისი შესაძლებლობაც, სამწუხაროდ, ქართველ ჩოგბურთელებს არა აქვთ.

„და მაინც, ეტყობა, ჩვენთან ყველა პრობლემა, ჩოგბურთისა იქნება თუ სხვა სახეობისა, ძირითადად მაინც სპორტსმენთა მშობლების შეძლებას, მათ ჯიბეს უკავშირდება“ — ჩემს აზრს მოვახსენებ მოსაუბრეებს, ისინი კი ამბობენ, არც მთლად ასეა საქმეო.

„უცხოეთში ყველა ჩოგბურთელის მშობლები როდი არიან შეძლებულნი — ამბობენ ისინი — იქ ბავშვთა აღსაზრდელად საჭირო ფინანსური უზრუნველყოფისთვის თავად კლუბებიც ზრუნავენ, რომლებიც სპონსორებზეც არიან დამოკიდებულნი, რაც ჩვენთან ჯერჯერობით მოუგვარებელია და აქ ჩოგბურთელის აღზრდა მართლაც თითქმის მთლიანად მშობლის ჯიბეზე ჰკიდია. ის, თუ აქ ვინ როგორ მუშაობს, ჩვენი გასარჩევი არაა, მაგრამ ნათელია, რომ რაღაც ისე ვერაა. თუ კაცი სათავეში ხარ, თუ კაცი ფედერაციის პრეზიდენტი ხარ, კორტის დირექტორი, გუნდის კაპიტანი ან სხვა რამ ხელმძღვანელი ხარ, საორგანიზაციო საქმის მოგვარებაზე უნდა იზრუნო და ყველაფერი ამით დავიწყოთ.“

საჩოგბურთო პრობლემებზე საუბარი, ეტყობა, კიდევ ბლომად შეიძლება, დღეს კი მხოლოდ იმაზე მოგახსენეთ, რაც თითო კათხა ლუდში ჩაეტია.

თბილისში ნათამაშებ ეგვიპტელებს ქართველ მწვრთნელთა ხელში გამოუვლიათ

ავთანდილ ჭყვიშელი

ჩოგანობობა ფედერერი ქსოვს

REUTERS ტორონტოდან

როჯერ ფედერერის წაქცევა შეუძლებელი ხდება

მასტერსის სერია
ტორონტო. ჰარდი
საპრიზო 2,564 მილიონი $

ფინალი
როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ენდი როდიკი (2, აშშ) 7:5, 6:3

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ ბაზელელ ყმაწვილს, 8 აგვისტოს 23 წლის რომ შესრულდება, ვინ იცის, რაღა არ ვუწოდეთ — აქილევსივით მოუწყველიც, ამქრის ობობაც, მეტოქეთა გამწრუწუნებელი ჯკვადო კატაც და მისთანანი. ჰოდა, როცა ნაამფინალევს ამ ეპითეტებსა და შედარებებს ვიხსენებთ, არც ერთი მათგანი გადაჭარბებულად არ გვეჩვენება. პირუკუ, კაცთა ამქარზე როჯერ ფედერერის ამჟამინდელ ზეობას ეგებ ვერც ერთი ხსენებული სახე სრულად ვერ გამოხატავდეს.

ხოლო ეს სადღეგრძელოსებრი შესავალი უბრალოდ მიკერძოებულობაში რომ არ ჩაგვეთვალოს, უმჯობესი იქნება, ერთად გავეცნოთ მშრალ სტატისტიკურ მარაგს, რაც ჩვენს ნახოტბევ ემოციებს ობიექტურობის გარდაუვალი ჯავშნით შემოსავს.

მაშ ასე:

ფედერერმა კარიერის მე-19, ხოლო წლის მე-8 (!) ტიტული მოიმკა და უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში ამის გამკეთებელი პირველი კაცმეჩოგნე გახდა. შეგახსენებთ, რომ ბოლო, ვინაც (— სულ მცირე —) ამ რაოდენობის ჯილდოთა მონაგვრა შეძლო, განთქმული ავსტრიელი ტომას მუსტერი იყო — 1995 წელს მან სულაც 12 ტიტულს მოუყარა თავი!

როდიკის ძლევით ფედერერმა თავისი ზედიზედ 23-ე გამარჯვება მიითვალა და ახლა ერთი მოგებაღა აკლია, რათა პიტ სამპრასის ხუთი წლისწინანდელი 24-მოგებიანი სერია გაიმეოროს. სულ კი როჯერი წლეულს ოთხი მარცხის წილ უკვე 57 (!) გამარჯვებას მოიძევს, რაიც ასევე გამორჩეული შედეგი გახლავთ.

ამ სეზონში მორეწილი რვა ტიტულიდან ფედერერმა ორი დიდი მუზარადის ტურნირებზე (ავსტრალიის ღია პირველობასა და უიმბლდონზე) იშოვა, ხოლო სამიც — მასტერსის სერიის შეჯიბრებებზე (ტორონტოს გარდა — ინდიანუელსსა და ჰამბურგში).

აღსანიშნავია მისი უნივერსალიზმიც — ტორონტოულ მაგარსაფრამდე მან ჯერ უიმბლდონურ ბალახზე გაილაღა, ხოლო მერე გშტაადურ თიხნარზეც იმარჯვა.

საკუთრივ ენდიბოის კი მან მერვე შეხლაში უკვე მეშვიდე მარცხი აგემა და ეს ისე შთამბეჭდავად გააკეთა, რომ მდგომარეობის მათთვის უკეთესობისკენ შეცვლის იმედი, ვაგლახ, ენდიბოის თვით ყველაზე გადამკვდარ ქომაგებსაც არ უნდა ჰქონდეთ. და ეს იმის მიუხედავად, რომ ფედერერი ნამატჩევს ამბობდა, ენდი, ჩვენ მომავალში კიდევ ძალიან, ძალიან ბევრჯერ შევხვდებით და შენ წილს შენ აუცილებლად მიითლიო.

ჰმ, აბა, როგორ უნდა „ენდო“ იმ კაცის სიტყვებს, ვისაც თავის მოწოდებაზე 0:40-დან უცებ სამი ეისის დაყუმბარება და მოსალონდელი „ბრეიკით“ აღტყინებული მეტოქისთვის უცივესი წყლის გადასხმა ჩოგანეწიფება?!

სწორედ ასე მოიქცა ფედერერი პირველი სეტის მეცხრე გეიმში, როცა 4:4-ზე თავის გეიმს 0:40 აგებდა და ისე ჩანდა, პირველი სეტი ღონივრად მოგლაჯუნე როდიკისთვის უნდა დაეთმო. მაგრამ .ხსენებულმა სამმა ეისიმ ყველაფერი ისევ ლოგიკურ კალაპოტში ჩააყენა და როცა წაგებული სეტის მერე ამერიკელმა თავისი ჩოგანი ძალზედ სახიფათოდ გაისროლა, ყველასთვის აშკარა გახდა — ფედერერს ახლა მხოლოდ თვითონ ფედერერი თუ დაამარცხებს.

წინ კი ცინცინატური მასტერსია და ფედერერის ერთის მხრივ გენიალურ, ხოლო მეორეს მხრივ გადაღლილ „მეებს“ შორის დაპირისპირების ხილვასაც მანდ მოველით.

ვნახოთ, ჯვადო ობობა კორტზე კიდევ როგორ აბლაბუდებს გამოხლართავს.

ჰო, მართლა — ჩემპიონთა ლიგაში ფედერერმა უკვე 881 ქულა მოაქუჩა და მეორეზე მყოფ როდიკს უკვე 329 (!) ქულით უსწრებს.

REUTERS სან დიეგოდან

ლინდსი დევენპორტს ყველა შემოეჩოგნა

ACURA CLASSIC
სან დიეგო. ჰარდი
საპრიზო 1,3 მილიონი $

ფინალი
ლინდსი დევენპორტი (4, აშშ) — ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) 6:1, 6:1

პენსიაზე გასვლის წინ 28 წლის ლინდსი დევენპორტმა კარიერის მეორე „კალიფორნიული ჰეთთრიქი“ შეასრულა. სტენფორდულ ფინალში ვინუს უილიამსის, ხოლო ლოსანჯელესობის გადამწყვეტ შეხლაში ვინუსის დაიკო სერენას გაიმასქნების შემდეგ ლინდსიმ საერთოდაც ამოუწყავი ილაჯი მოიცა და დაღლილობის მიუხედავად სანდიეგოში ისე მძლავრად იჯლიგინა, რომ მისთვის ჩოგნის შებრუნება ვერავინ გაბედა. სხვათა შორის — ვერც ანასტასია მისკინამ, ვინაც, ჩანს, წინა დღეს თვისტომ ზვონარიოვასთან გადატანილი სამსაათიანი ბუღრაობის შემდეგ აზრზე ვერარ მოვიდა და ლინდსისთან მესამე საკარიერო დაგნარში უკვე მესამედვე დათმო.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაც მოხდა, ყველაფერი დამსახურებულიაო, სავსებით სამართლიანად ამბობდა ნაფინალევს დევენპორტი და — ამ სამი კვირის განმავლობაში ჩემს თავს ბევრი რამ დავუმტკიცე და ბედნიერების მეტს ახლა არაფერს განვიცდიო — მერე ასე დასძენდა. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ პირველი „კალიფორნიული ჰეთთრიქი“ მან 1998 წელს შეასრულა, რომ გუშინ მან კარიერის 43-ე, ხოლო წლის მეხუთე ტიტული ირგუნა და საამკვირაო რეიტინგსიებშიც ამქრის პირველოსან ჟუსტინ ენენ-არდენის მომდევნოდ ანუ მეორე საფეხურზე დადგა.

ჩოგნის ჩამოკიდებასა და სამზარეულოსნობაზე მოფიქრალი ქალისთვის ეს ურიგო მაჩვენებლები სულაც არ არის. ვინძლო, ჩვენი განათლებული მკითხველიც ასე ფიქრობდეს.

ლინდსის ჰეთთრიქისა კი სამი ბროლის ჩოგნით უნდა შეისვას!

ლევან კელაურაძე

გერმანია
ლიგის თასის ფინალი
ბაიერნი 3:2 ვერდერი

ფეხბურთი
ნორვეგია
ტიპელიგა. XVI ტური
ბრანი 1:1 ვილერენგა

შვედეთი
ალსვენსკა. XIV ტური
ტრელებორგი 2:2 ჰამარბი
ელფსბორგი 3:1 სუნდსვალი
ლანდსკრონა 0:4 ჰალმსტადი

ირლანდია
პრემიერლიგა
გადადებული მატჩები
შემროკი 2:0 ლონგფორდი
დროჰედა 2:0 კორკ სიტი

დორტმუნდის სუპერტურნირი

გერმანია. დორტმუნდი. 22 ივლისი — 1 აგვისტო

ფინალი

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) - ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) 0.5-0.5 0.5-0.5 ტაი ბრეიკი 0.5-0.5 1:0

III ადგილი

პეტერ ლეკო (უნგრეთი) - პეტერ სვიდლერი (რუსეთი) 0.5-0.5 0.5-0.5 0.5-0.5 0:1

V ადგილი

არკადი ნაიდიჩი (გერმანია) - სერგეი რუბლიოვსკი (რუსეთი) 1:0 0.5-0.5

VII ადგილი

ვიორელ ბოლოგანი (მოლდავეთი) - სერგეი კარიაკინი (უკრაინა) 0.5-0.5 1:0

ანანდი: ა. ნალდი

ბარაქიანი წელი უდგას სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონ ვიშვანათან ანანდს. ინდუსმა წელი ვეიკ ან ზეეს მოგებით დაიწყო, შემდეგ საჭადრაკო ოსკარის მფლობელი შეიქმნა, ახლა კი აგერ დორტმუნდის სუპერტურნირშიც იმარჯვა.

სუპერტურნირი წლეულს 32-ედ ჩატარდა და უკვე კარგა ხანია რაც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. ახლანდელი პირველობა სიძლიერით 18-ე კატეგორიისა იყო და ახალი ფორმატით ჩატარდა, მეტოქეებმა თამაში ჯგუფური ეტაპით დაიწყეს, შემდეგ კი ბრძოლები პლეი ოფში გააგრძელეს და ასეთმა ჯახებმა გულშემატკივართა ინტერესი ერთიორად გაზარდა.

ტურნირის გვირგვინი, რა თქმა უნდა, ფინალი გამოდგა, სადაც ფიდე-ს რეიტინგსიაში მეორე და მესამე ნომრად მყოფი მოჭადრაკეები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველი გაყიმებული პარტიის შემდეგ მეტოქეებმა მეორეშიც არ გამოიდეს თავი და იქაც მეგობრული დაშორება არჩიეს. პარტია კი კრამნიკის იერიშებით წარიმართა თუმც უპირატესობას ვერ დაეუფლა და 47 სვლაზე ზავი ითხოვა.

გამარჯვებულის გამოსავლენად ტაი ბრეიკი დაინიშნა და პირველ შეხვედრა 18-ე სვლაზე კვლავაც ყაიმით დასრულდა. მეორე პარტია კი უკვე სწრაფად მოაზროვნე ინდუსის უპირატესობით წარიმართა, მან რუსს რამდენიმე დამაბნეველი მანევრი ჩაუტარა და 31 სვლაზე გამარჯვებულის ალამი ააფრიალა. ინდუსი ამ ჯილდოს მეორედ დაეუფლა, კრამნიკს კი დორთმუნდში ხუთჯერ უმარჯვია.

ვიშვანათან ანანდი მეუღლე არუნას კომპანიაში

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ორმა პეტერმა ოთხი პარტია გაითამაშეს და სწრაფ პარტიებში საბოლოოდ რუსმა იძალა. ასევე აღსანიშნავია ერთადერთი „აბორიგენის“ არკადი ნაიდიჩის მიღწევაც. 18 წლის გერმანელმა ჯგუფურ ტურნირებში ჩაფლავების შემდეგ, პლეი ოფებში აიწყვიტა და მეხუთე ადგილსაც დამსახურებულად დაეუფლა.

ლაშა გეგეჭკორი



REUTERS ბინერზარტენიდან

ზაფხულის ზამთარი

ყოველივე მწვანედ ბიბინებს, მაგრამ უკვე ყარგა ხანია, ტრამპლინიდან ხტომას თოვლი ალარ სჭირდება. ჰინერზარტენიდან მიღებული ეს სურათებიც თითქოს ზამთრისაა, მაგრამ მაინც ზაფხულის დიდი პრიზისთვის ფრენას ჯერჯერობით ავსტრიელები უდგანან სათავეში. იქაური ტომას მორგენშტერნი ალბათ სიამოვნებით დასცქერის თავის ჩრდილს, შვეიცარიელი სიმონ ამანი კი მშვენიერ ტყისპირს.



REUTERS ბინერზარტენიდან



REUTERS შანხაიდან

შანხაის ფორმულა

აი, შანხაი, ჩინეთის გული, ყველაზე დიდი, ყველაზე მდიდარი და თანამედროვე ჩინური ქალაქი, სადაც სანამ სამანქანე ფორმულა-1 ჩვევად იქცევა, მოტო ნავების დიდი პრიზიც კოხტად თამაშდება. თორმეტგუნდა საწყლოსნო ფორმულა ერთი მდინარე ჰუანგჰუს იკლებს, ღონისძიებათა ცენტრი კი ამაყად დასცქერის შეჯიბრს.



REUTERS ჰამბურგიდან

ჯერ მოყვარულნი

ჰამბურგში, კოლბრანდის ხიდზე უთვალავმა ველომოყვარულმა ჩამოიქროლა. აქ მსოფლიოს თასის დაწყების წინ მოყვარულთა რბოლა „ჰიუ საიკლასიკსიც“ გაიმართა და მონაწილეც უამრავი მოიზიდა.

REUTERS ბინერზარტენიდან

მზის ნაბიჯით

მზის ენერგიის მანქანებით რბოლა ხშირი ამბავია ტოკიოში, სუძუკას წრეზე. ეს საინტერესო ამბავი კია, მაგრამ კომფორტისა რა გითხრათ. მავანი იაპონელი სტუდენტი კინაღამ ამოიგუდა თავის მანქანაში. ამ შემთხვევაში კი მზის ნაბიჯი და კუს ნაბიჯი ერთია.



REUTERS ტოკიოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge